გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ქართველობის გადასარჩენად

# ილორი

E-mail: roland.jalagania@mail.ru
E-mail: r.jalagania@mail.ru

№424 (483) 27 თებერვალი-13 მარტი 2018 წ. სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სირცხვილი ის კი არ არის, რომ მეგრულად ლაპარაკობენ, არამედ ისაა, რომ დანარჩენმა ქართველებმა არ ვიცით მეგრული ენა — აკაკი შანიძე



## ალექსანდრე ჭაჭია: სიცრუე და ორპირობა ხელისუფლებაში

გვ.2-7

## ზურაბ ჭკადუა: კოლხეთი

გვ.3



## ბორის დავითაია: გრაკლიანის გორაკზე აღმოჩენილი დამწერლობის თაობაზე

გვ.5

## ლუარა სორდია: მერაბ კოსტავას პოეზია

გვ.9



## ჰამლეტ ჭიპაშვილი: ისევ NDI-ის გამოკითხვების შესახებ

გვ.6



## სერგი (გიორგი) საჯაია: არა, ეს ქართული მწერლობა არ არის!..

გვ.8




## ლალი პაპასკირი: გერმანიას მალე აყვება იტალია, გაუუქმეთ უვიზო რეჟიმი საქართველოს — ფლორენციაში ხალხს ქართველების საწინააღმდეგო საკეტებს სთავაზობენ

გვ.10



## ვახტანგ გვარამია: რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ შევარდნაძე ის შევარდნაძე აღარ იყო — გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება აღარ შეეძლო

გვ.7



გვ.4

## ლავრენტი ბერია — საბჭოთა კავშირის ცილდაწამებული გმირი

## რევაზ გოგოხია: ბიბლიურ-ფილოსოფიური ანთროპოლოგიური სიბრძნე: “შეიცან თავი შენი” და თანამედროვეობა

გვ.9

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სიცრუე და ორპირობა ხელისუფლებაში

საკაშვილისა და მისი სისხლიანი რეჟიმისგან გაწამებულმა საქართველოს მოსახლეობამ 2012 წლის არჩევნებში მხარი დაუჭირა "ქართულ ოცნებასა" და მის ლიდერს – ბიძინა ივანიშვილს, რომელმაც, ხალხის გულის მოსაგებად, ამ არჩევნების წინ და არჩევნების შემდეგ რამდენიმე თვის განმავლობაში უამრავი დაპირება გასცა: * სამართლიანობის აღდგენა – ხელისუფლების იმ პირებისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება, რომლებმაც დანაშაული ჩაიდინეს; ბიზნესმენებისა და მოქალაქეებისთვის იმ ქონების დაბრუნება, რომლებიც მათ "ნაციონალური მოძრაობის" მმართველობის პერიოდში წაართვეს;

* ელექტროენერგიისა და ბუნებრივი აირის ტარიფების მნიშვნელოვნად შემცირება;

* საწვავის, ფარმაცევტული პროდუქციისა და სხვა საქონლის გაიაფება ჯანსაღი კონკურენციის გზით;

* საარსებო მინიმუმის მნიშვნელოვნად მომატება;

* პენსიის მომატება 220 ლარამდე;

* ყველა რეგიონში 1000-ზე მეტი საწარმოს აშენება (მხოლოდ 2013 წელს 60-ზე მეტი საწარმო უნდა აშენებულიყო) და უმუშევრობის აღმოფხვრა;

* სოფლის მეურნეობის აღორძინება;

* რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესება, პარალელურად, ნატოში შესვლა და სხვ.

"პირველი წელიწადი იქნება რთული, მეორე იქნება საგრძნობლად უკეთესი, მესამე წელს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი უკეთესობას საკუთარ თავსა და ჯიბეზე იგრძნობს, მეოთხე წელიწადი იქნება ძალიან კარგი", – განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა 2012 წლის 24 დეკემბერს გამართულ პრესკონფერენციაზე.

მას შემდეგ 5 წელიწადზე მეტი გავიდა და მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა არათუ გაუმჯობესდა, პირიქით – მნიშვნელოვნად გაუარესდა: კატასტროფულად გაუფასურდა ლარი; სამართლიანობა არათუ აღდგა, ქართველი ხალხის ცემა-ტყეპას, წამებას, ბიზნესის წართმევასა და მკვლელობებში ეჭვმიტანილები, ჯალათი რეჟიმის – "ნაცმოძრაობის" – წევრები დღესაც თავისუფლად დასეირნობენ (ზოგი საქართველოში, ზოგი – უცხოეთში), დასავლეთისგან თავსმოხვეული ე.წ. კოაბიტაციის წყალობით და ეს დამნაშავე პოლიტიკური ორგანიზაცია და მისი განაყოფი ორგანიზაციები მთავარ ოპოზიციურ ძალებად ითვლებიან. ივანიშვილმა, სხვათა შორის, თავისთვის კი აღიდგინა სამართლიანობა – ხელისუფლების სათავეში მოსვლისთანავე დაიბრუნა სააკაშვილის მიერ წართმეული 80 მილიონი.

ქვეყნის სათავეში მოსვლიდან მეხუთე წელს, როცა საქართველოს მოსახლეობას, ივანიშვილის დაპირების მიხედვით, თაფლისა და რძის მდინარეებში უნდა ებანავა, ელექტროენერგიაც გაძვირდა, ბუნებრივი აირიც და წყალიც, შესაბამისად – პროდუქტებიც და სამომხმარებლო საგნებიც. დღეს საარსებო მინიმუმი 173,5 ლარია(!), ხოლო პენსია – 180 ლარი და მის მომატებას 20 ლარით (?!) მხოლოდ 2019-2020 წლებისთვის გვპირდება ბიძინა ივანიშვილის მიერ დატოვებული ხელისუფლება, რომლის წევრებიც ყოველთვიურად უზარმაზარ ხელფასებსა და პრემია-დანამატებს იღებენ.

სხვათა შორის, საარსებო მინიმუმისა და პენსიების მხრივ საქართველო აუტსაიდერია ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში და, საერთოდ, მსოფლიოში. ამასთანავე, 2017 წლის მეორე კვარტალში 617 მლნ დოლარით მოიმატა საქართველოს საგარეო ვალმა და 16,4 მლრდ შეადგინა.

მიუხედავად რუსეთის ხელისუფლების პირველი პირების განცხადებებისა, რომ მზად არიან საქართველოსთან დიალოგის დასაწყებად, საქართველოს "პლასტელინა" და "ქსლის მბეჭველმა" პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა, რომელიც ბიძინა ივანიშვილის დაჟინებული მოწოდებით აირჩია მოსახლეობამ, განაცხადა: ჯერ ჩვენი სტრატეგიული პარტნიორისგან – აშშ-ისგან უნდა ავიღოთ ნებართვა რუსეთთან დიალოგის გამართვაზეო;

ყველა რეგიონში 1000 საწარმოს აშენების დაპირება ხომ, საერთოდ, დაივიწყა ივანიშვილის"ქართულმა ოცნებამ". შესაბამისად, სოციალურ–ეკონომიკური და დასაქმების მაჩვენებელი არ გაუმჯობესებულა. და 2016 წლის "საქსტატის" მონაცემებით, საქართველოში 235,1 ათასი კაცია უმუშევარი (11%).

სამაგიეროდ, თბილისში, თავისუფალი ინდუსტრიული ზონის ტერიტორიაზე, რომელიც 1 ლარად გაიყიდა, ბიძინა ივანიშვილმა გახსნა ბიტკოინების მწარმოებელი კომპანია BitFury, რომელიც უზარმაზარ ელექტროენერგიას მოიხმარს და რომლის გამოც ელექტროენერგიის მომატებული ტარიფის გადახდა საქართველოს მოსახლეობას დააწვა კისერზე. ისიც აღსანიშნავია, რომ მხოლოდ 2014 წელს ბიძინა ივანიშვილის ბანკ "ქართუს" შემოსავალმა 14-ჯერ მოიმატა, ხოლო თვითონ ივანიშვილის შემოსავალმა მხოლოდ 2017 წელს – 380 მილიონი დოლარით და ახლა მისი ქონება, სააგენტო "ბლუმბერგის" შეფასებით, 5,87 მლრდ-ია.

ჩანს, ბიძინა ივანიშვილი, რომელმაც ხელისუფლებაში "ქართული ოცნების" მოსვლის შემდეგ მალე დატოვა პრემიერ-მინისტრის პოსტი, ქვეყანას კი თავზე დაასვა "საინტერესო" პრეზიდენტი, მინისტრები და დეპუტატები, საქართველოს თავის შპს-დ განიხილავს და სულაც არ ანაღვლებს არც მოსახლეობის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და არც ქვეყანა, რომელსაც გაზულუქებული მაღალჩინოსნები "სტრატეგიული მოკავშირის" მითითებებით უფსკრულისკენ მიაქანებენ.

ეს ყველაფერი დღეს, წლების შემდეგ, გამოჩნდა ნათლად, თორემ 2012 წელს, არჩევნების წინ, მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ვერც იფიქრებდა, რომ ბიძინა ივანიშვილი და "ქართული ოცნება" ფეხებზე დაიკიდებდა დაპირებებს, თუმცა იმაზე, რომ საქართველო შეიძლებოდა ასეთ ვითარებაში აღმოჩენილიყო, "ქართული ოცნების" ხელისუფლების სათავეში მოსვლისთანავე ლაპარაკობდა ცნობილი ქართველი პოლიტოლოგი ალექსანდრე ჭაჭია.

* აი რა განაცხადა მან 5 წლის წინათ "საქართველო და მსოფლიოს" მთავარ რედაქტორთან საუბარში ივანიშვილის მიერ ძლიერი მთავრობის დატოვებაზე, რომელსაც მისი პოლიტიკური კურსი და აღორძინების პროგრამა უნდა განეხორციელებინა (იხ. "საქართველო და მსოფლიო" №34, 2013 წლის 18-24 სექტემბერი):

"ჯერ ერთი, არ ვიცი, რა არის "ივანიშვილის პროგრამა" და ვფიქრობ, საქართველოში ეს არც არავინ იცის, თვით ივანიშვილის ჩათვლით; მეორე – ივანიშვილი სერიოზულ შეცდომას უშვებს, თუკი სახელმწიფოს განიხილავს, როგორც კომერციულ ფირმას, კერძო კომპანიას, რომელშიც მას აქციათა თითქმის 100-პროცენტიანი პაკეტი აქვს და რომელშიც მინისტრები, დეპუტატები არიან მისი თანაშემწეები, კლერკები, ნება-სურვილის შემსრულებლები. მისი განცხადებები იმის თაობაზე, რომ დატოვებს "საინტერესო" პრეზიდენტსა და "საინტერესო" პრემიერს, ხოლო თვითონ გარედან გააკონტროლებს სიტუაციას, არის ბიზნესმენის ტიპური მიდგომა ბიზნესსტრუქტურისადმი: შევქმნი კომპანიას, დავნიშნავ ჩემს ხალხს და გავაკონტროლებო, მაგრამ სახელმწიფო კერძო კომპანია არ არის. სახელმწიფოს მართვაში სულ სხვა პრინციპები მოქმედებს, რომლებიც, როგორც ჩანს, ივანიშვილს არ ესმის. საერთოდ, ბიზნესი და პოლიტიკა მოღვაწეობის სრულიად განსხვავებული სფეროებია. სიტყვამ მოიტანადა, პირადად, მე ვერ ვიხსენებ ისტორიაში შემთხვევას, როდესაც ბიზნესმენი წარმატებული სახელმწიფო მოღვაწე გახდა; უფრო მეტიც – კერძო ბიზნესი და ქვეყნის ეკონომიკა ძალიან განსხვავებული სფეროებია".

ბიძინა ივანიშვილის მიერ ჩამოყალიბებული "საინტერესო" გუნდი და მის მიერ დატოვებული "საინტერესო" პრეზიდენტი, ბოლო წლებია, ერთმანეთს ებრძვიან – პარლამენტი დასამტკიცებლად გამოიტანს კანონს, "მდიდარი სექსის მქონე" "პლასტილინი" პრეზიდენტი ვეტოს დაადებს, მაგრამ "ოცნების" დეპუტაცია ძლევს ვეტოს და ასე გრძელდება, უკვე 4 წელიწადია. "საინტერესო" პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა თავი იმით გამოიჩინა, რომ ჯერ თურქეთი მოიხსენია "საქართველოს ისტორიულ მეგობრად", შემდეგ დეპუტატ ნიკა მელიას კეთილები აგინა, ახლა კი გამზრდელი ედუარდ შევარდნაძისადმი ხოტბა-დიდება არ დაიშურა. ივანიშვილმა კი პრემიერის პოსტიდან გადადგომისთანავე პასუხისმგებლობა მოიხსნა მის მიერ დატოვებულ "საინტერესო" პრეზიდენტსა და პრემიერზე.

* აი როგორ გამოეხმაურა ალექსანდრე ჭაჭია ზემონახსენებ ინტერვიუში ივანიშვილის განცხადებას, რომ ძალაუფლებას გადასცემს ძალიან ძლიერ სამთავრობო გუნდს, რომელიც ააღორძინებს საქართველოს. და რომ ამ გუნდზე პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე დაიკისრებს: ბიძინა ივანიშვილი

"რა ფორმის პასუხისმგებლობაზეა საუბარი? როგორ აგებს ივანიშვილი პასუხს თავისი გუნდის ნამოქმედარზე? გადადგომის შემდეგ ივანიშვილი იქნება რიგითი მოქალაქე, თანაც – საფრანგეთის. უბედურება სწორედ ისაა, რომ ჩვენი მმართველები, თავიანთი შეუსრულებელიდაპირებების გამო, პასუხს არ აგებენ და ვერც აგებენ, რადგან პასუხისმგებლობის არანაირი მექანიზმი არ არსებობს. განაცხადოს ივანიშვილმა ის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური პარამეტრები, რომლებიც მისმა მთავრობამ უნდა უზრუნველყოს სამი წლის შემდეგ, მერე კი საჯაროდ თქვას და ნოტარიულადაც დაამოწმოს, რომ ამ პარამეტრების შეუსრულებლობის შემთხვევაში იგი, როგორც სამთავრობო გუნდის საქმიანობაზე პასუხისმგებელი პირი, ამ პასუხისმგებლობის ფარგლებში საქართველოს თითოეულ მოქალაქეს გადაურიცხავს ათას დოლარს. სულ 4 მილიარდი დოლარი გამოდის. აი, ეს იქნებამისი პირადი პასუხისმგებლობის რეალური ზომა. მზად არის ივანიშვილი ასეთი პასუხისმგებლობისთვის?"

* აი რას ამბობს ბატონი ალექსანდრე 2013 წლის კიდევ ერთ ინტერვიუში ("საქართველო და მსოფლიო" №31, 21 აგვისტო-4 სექტემბერი, 2013 წ.) მმართველი გუნდის მიერ წარმოებულ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პოლიტიკაზე, საინტერესო პრეზიდენტზე და, საერთოდ, მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეებზე:

"მე, სხვათა შორის, ვთავაზობდი, დაევალდებულებინათ პრეზიდენტი, უკვე 1-2 წლის შემდეგ თავისი საქმიანობის კონკრეტული შედეგები წარედგინა საზოგადოებისთვის. გარწმუნებთ, რომ ამ შემთხვევაში პრეზიდენტობის პრეტენდენტთა რიცხვი არ იქნებოდა ორი-სამის მეტი და მათთვისაც თხოვნა იქნებოდა საჭირო, რათა კენჭი ეყარათ. მაგრამ ახალმა ხელისუფლებამ გადაწყვიტა, მოსახლეობის კისერზე დასვას მაღალი რანგის უსაქმური, რომელიც დახვდება უცხოელ სტუმრებს, ხელს მოაწერს მთავრობის მიერ მომზადებულ ქაღალდებს და პერიოდულად ტელევიზორის ეკრანიდან მოგვიყვება, როგორ ძლიერ, დემოკრატიულ ქვეყანას აშენებს ეს ხელისუფლება.

საერთოდ, ივანიშვილის ქცევიდან, მისი საკადრო პოლიტიკიდან, რიტორიკიდან გამომდინარე, ნათელია, რომ კონფლიქტების მოგვარება არც პირადად მისთვის და არც ამ ხელისუფლებისთვის პრიორიტეტს არ წარმოადგენს. თუ თქვენ შენიშნეთ, აფხაზეთის თემა საქართველოს საჯარო პოლიტიკიდან შეუმჩნევლად ამოვარდა. არც ხელისუფლება, არც ოპოზიცია, არსებითად, ამ საკითხს არ ეხება. რაკი აცნობიერებენ, რომ მათგან ვერც ერთი ახერხებს, თუნდაც შეუდგეს ამ პრობლემების მოგვარებას, ცდილობენ, მათ გვერდი აუარონ, ზოგადი ფრაზებით შემოიფარგლონ, არ გაამახვილონ საზოგადოების ყურადღება ამ, მათი აზრით, უიმედო თემებზე.

თუთიყუშივით იმეორებენ ივანიშვილის გაუგებარ სენტენციას: "ჩვენს ძმებ აფხაზებსა და ოსებთან ერთად ავაშენებთ აყვავებულ საქართველოს". რომელმა აფხაზმა გიწოდა ძმა? რომელი ოსი დაგთანხმდა ერთად ქვეყნის აშენებაზე? გაიხსენეთ სააკაშვილის მმართველობის პირველი წლები, ისიც ლაყბობდა ძმობაზე, უკვეთავდა ისეთ სამარცხვინო კლიპებს, როგორიცაა "გამარჯობა, აფხაზეთო, შენი!", სადაც დაქირავებული მომღერლები ყველას აფხაზეთში ეპატიჟებოდნენ. სოხუმში სიამოვნებით აჩვენებდნენ ამ კლიპს, რათა დაეცინათ ბრიყვი ქართველებისთვის. არავის სჭირდება ძმობის შესახებ მტკიცებები, ამის არავის სჯერა, ეს არაფრის მომცემია, საკუთარი ღირსების დამცირების გარდა. საჭიროა პრაგმატული, არსებითი დიალოგი რუსეთის დაინტერესებული მონაწილეობით, მაგრამ ამგვარი დიალოგისდაწყების არც სურვილი და არც შესაძლებლობები ახალ ხელისუფლებას არ აქვს, ისე, როგორც არ ჰქონდა არც სააკაშვილს და არც შევარდნაძეს.

მრავალი წელია, ვამბობ, რომ აუცილებელია კანონი მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეების საქმიანობის შედეგებზე მათი პირადი პასუხისმგებლობის შესახებ. სანამ ასეთი კანონი არ არსებობს, მოვუწოდებ ამომრჩევლებს, მოითხოვონ ამა თუ იმ კანდიდატისგან თუნდაც საჯარო დაპირება, რომ, თუ ორი წლის შემდეგ იგი არ წარმოადგენს თავისი საქმიანობის კონკრეტულ შედეგებს, მაშინ გადადგება.

მაგალითად, კანდიდატი გპირდებათ, რომ ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას აღადგენს, მოითხოვეთ მისგან საჯარო განცხადება, რომ, თუ იგი პირველი ორი წლის მანძილზე ორჯერ-სამჯერ მაინც არ ჩავა სოხუმში, არ შეხვდება იქაურ ხელმძღვანელობას, ადგილობრივ საზოგადოებას, არ ჩაატარებს მოლაპარაკებებს ამ თემაზე მოსკოვთან, მაშინ გადადგება თავისი წინასაარჩევნო დანაპირების შეუსრულებლობის გამო. გპირდებათ კანდიდატი მილიონ სამუშაო ადგილს? ე.ი., 2 წლის შემდეგ იგი ვალდებულია, წარმოადგინოს თუ 400 ათასი არა, 200 ათასი სამუშაო ადგილი მაინც; წინააღმდეგ შემთხვევაში მან უნდა დატოვოს თანამდებობა და ა. შ. მოდით, ამ ხერხით მაინც ვცადოთ, ვაიძულოთ პოლიტიკოსები, პასუხისმგებლობით მოეკიდონ საკუთარ მოვალეობებს".

ამდენი შეუსრულებელი დაპირებისა და მოსახლეობის უკიდურესი გაჭირვების ფონზე, მართლაც აუცილებელია, ქვეყანაში შემუშავდეს კანონი მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეების პასუხისმგებლობის შესახებ. ხოლო ვითარების გარედან, შუშის სასახლიდან, გაკონტროლებას, როგორც ამას ბიძინა ივანიშვილი აკეთებს, შედეგი რომ არ მოაქვს (ყოველ შემთხვევაში, საქართველოს მოსახლეობისთვის), უკვე მეექვსე წელიწადია, ვხედავთ.

* ივანიშვილის განცხადებას, რომ გადადგება, გარედან გააკონტროლებს სიტუაციას და ყველა დაპირებას შეასრულებს, ალექსანდრე ჭაჭია ასე აფასებდა:

"ეს შეუძლებელია. საქართველო ჩინეთი არაა და არც ივანიშვილია დენ სიაოპინი. ბიჭები, რომლებსაც იგი დაუტოვებს ძალაუფლებას, ორიოდე თვეში დაივიწყებენ მის არსებობას. როგორც კი ჩაიგდებენ სახელმწიფო ბიუჯეტს ხელში, მათ აღარ დასჭირდებათ მისისუბსიდიები. მას საჭიროების შემთხვევაში მოუწევს მიმართოს ამერიკის ელჩს, რათა მისი მეშვეობით მოახდინოს გავლენა გარკვეული საკითხების გადასაწყვეტად, მაგრამ ელჩსაც ეს ყველაფერი მალე მობეზრდება ("საქართველო და მსოფლიო", №31, 21 აგვისტო-4 სექტემბერი, 2013წ.).

*(გაგრძელება მე-7 გვერდზე)*

# კოლხეთი

კოლხეთის პირველი ხსენება საისტორიო წყაროებში ჰეკატე მილეტელისაგან მოდის ჩვენს წელთააღრიცხვმდე მე-6-ე საუკუნეში. აქ კოლხეთი აწმყო დროში არის მოხსენიებული, თუმცა მისი ხსენება არქაულ ბერძნულ ლიტერატურაში უფრო ადრე იწყება, უკვე წარსულ დროში

ცნობილია თქმულება არგონავტებზე, (რომელსაც მიზეზთა და მიზეზთა გამო მითს ვერ ვუწოდებთ). ფაქტიურად ეს თქმულება ორმოქმედებიანია. პირველი მოქმედება – ეს არგონავტების მიერ ხომალდ არგოს აგებაა (სავარაუდოდ, არგო არის ერთ-ერთი პირველი ბერძნული ხომალთთაგანი) და ხომალდისა და მისი ეკიპაჟის გაცილება შორეულ (ბერძენთათვის) და სახიფათო ნაოსნობაში.

„თვითონ ფილირეს ვაჟი ქირონი მთის მწვერვალიდან დაბლა დაეშვა, ზღვასთან მივიდა, დადგა იქ, სადაც ტალღა ტყლაშუნით ეცემა ნაპირს. ჯერ წყალში ჩადგა წინა ფეხები, მერე ასწია მძიმე მარჯვენა, სალამს უთვლიდა მიმავალ გმირებს, გზას ულოცავდა, აძლევდა რჩევებს და უსურვებდა ბრძენი კენტავრი მათ უხიფათოდ შინ დაბრუნებას. ქირონს თან ახლდა თავისი ცოლი, ყრმა აქილევსი ეჭირა ხელთა და მაღლა სწევდა აღსაზრდელს, რათა მამამისს, პელევსს ეხილა შორით“

(აპოლონ როდოსელი, არგონავტიკა, წიგნი 1,-552-557, თბილისი,1975წ.).

აქილევსის, ტროას ომის ამ ცნობილი გმირის მამა პელევსი სალაშქროდ მიდის კოლხეთში, ხოლო კოლხეთის ლაშქრობიდან ერთი თაობის მერე (25-28წ) პელევსის შვილი აქილევსი ტროაში იბრძვის. ტროა – ეს მე-12-ე, მე-13-ე საუკუნის ჩვ.წ. აღრიცხვამდე მიჯნის ისტორიული მოვლენაა, რაც თვალსაჩინოდ დაამტკიცა გერმანელმა ებრაელმა შლიმანმა თვისი გათხრებით. ამდენად, შეუძლებელია ბერძენთა მიერ კოლხეთში ლაშქრობას მითი და არარეალობა უწოდო.

აქილევსის მამამძუძუზე, კენტავრ ქირონზე, სინამდვილეში მხედარ კერკეტზე და შემდგომში ყაბარდოში დამკვიდრებულ ჩერქეზზე და ატალიკობის ინსტიტუტზე სხვა თავში ვისაუბრებთ. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ მხედარი მთებიდან ეშვება ძირს და მისი აღსაზრდელი – ეს ტომით პელაზგი აქილევსია!

იმდენად, რამდენადაც ტროას ადგილსამყოფელი, ომი და მისი ქრონოლოგია ზედმიწევნით არის განსაზღვრული, ასევე რეალური ჩანს ბერძენთა კოლხეთში ლაშქრობაც... მხოლოდ, საკითხავია, რომელ კოლხეთში?

პოემაში არსებობს, აშკარად ანომალიური რამდენიმე მომენტი, რომელსაც ისტორიკოსთა ჯეროვანი ყურადღება ჯერჯერობით არც მიქცევია.

აპოლონ როდოსელზე თითქმის ორი საუკუნით ადრე მოღვაწე, ისტორიის მამად ცნობილი ჰეროდოტე, კოლხთა საზღვარს მდინარე ფაზისზე (რიონზე) მონიშნავს:

„ხოლო მაიეტის ტბიდან მდინარე ფასისამდე და კოლხებამდე არის 30 დღის სავალი მსუბუქად შეიარაღებული კაცისთვის. (ჰეროდოტე, ისტორია, წიგნი 1, კლიო 104, თბილისი.1975წ)

შეუძლებელია კოლხთა დედაქალაქი პირდაპირ საზღვარზე ყოფილიყო გაშენებული!

2. ჰეროდოტე საერთოდ არ ახსენებს კოლხთა დედაქალაქს კუტაიას, მას ახსენებს აპოლონ როდოსელი ორი საუკუნის შემდეგ.

3. ერთობ ბუნდოვანია ელინ მოლაშქრეთა ლტოლვისა და მათი კოლხთა მიერ დევნის მარშრუტი! როდოსელის ვერსიით, ლტოლვილი ბერძნები კოლხეთიდან (ფაზისიდან) ჯერ აღმოსავლეთის მიმართულებით მიცურავენ, მესამე დღეს პაფლაგონიას (სინოპას ნახევარკუნძულს) ჩაუარეს, გასცდნენ ბოსფორის სრუტეს, გაუარეს კუნძულ პევკას, ისტროსთან (დუნაისთან შესცურეს დუნაიში და მისი მეორე (არარსებული) ტოტით მოხვდნენ ადრიატიკის ზღვის სანაპიროზე. ჭეშმარიტად ფანტასტიკური კრუიზია! აპოლონ როდოსელის ვერსიით, მათ თითქმის მთელ შავ ზღვას შემოუარეს!

4. კოლხებმა, რომელთაც არ იციან „არგოს“ მარშრუტი, ზუსტად მისი გზა გაიმეორეს, გაუსწრეს კიდეც მათ და მათზე ადრე აღმოჩნდნენ ადრიატიკის ზღვაში, დღევანდელი ტრიესტის ყურეში ისტროსის (დუნაის) არარსებული ტოტით და შესაბამისად, მარშრუტით.

5. უცილობელი და უეჭველი ფაქტი ისაა, რომ კოლხურმა მდევარმა ადრიატიკის ზღვაში, ტრიესტას ყურესთან მიუსწრო ბერძნებს. ბერძნებმა ღალატით მოკლეს აფსირტე, მედეას ძმა, რომლის დანაწევრებული გვამი ახლო-მახლო კუნძულებზე მიმოფანტეს. ამ კუნძულებს შემდგომში აფსირტიდები დაერქვათ.

ფანტასტიურია კოლხებისა და ბერძნების ადრიატიკის ზღვაში მოხვედრის ფაქტი, თუმცა მათი შეხვედრის სურათი სრულიად რეალისტური ჩანს. თუ დავუშვებთ, რომ ბერძნები ჰელესპონტით დაბრუნდნენ ხმელთაშუა ზღვაში, გაუგებარია, რატომ გასცდნენ ისინი ასე შორს საბერძნეთს. აღნიშნული ფაქტი არგონავტების შესახებ თქმულების სისწორეს კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს, თუმცა გმირები, მათ შორის აქილევსის მამა, რეალური პიროვნებები ჩანან!

პრობლემის გასაღები ისევ თქმულებაში უნდა ვეძიოთ. არგონავტიკაში აღწერილ მოქმედებასა და როდოსელის დაწერილ პოემას შორის თითქმის მთელი 900 წელია. მართალია, აპოლონ როდოსელს ჰყავდა წინამორბედი პოეტები, რომლებმაც ჩვენამდე მოუღწეველი არაერთი პოემა მიუძღვნეს ამ თემას, თუმცა მხატვრული თუ რეალური ისტორიოგრაფია მხოლოდ ჩვენს წელთა აღრიცხვამდე მე-6-ე საუკუნიდან ვითარდება. გეოგრაფიული მდებარეობის აღწერის პიონერი ჰეკატე მილეტელი იყო. თუ თქმულება ტროას გმირთა შესახებ 400-450 წელი ზეპირსიტყვიერად გადაეცემოდა შთამომავლობას, არგონავტებზე თქმულება ამავე მეთოდით, მინიმუმ 900 წლის გამავლობაში გადაეცემოდა მომდევნო თაობებს. სტრაბონის პირველი საუკუნის ცნობა ქალაქ პოლას (დღესაც არსებული ტრიესტას ყურეში) კოლხური წარმოშობის შესახებ სოფოკლემდე მიდის (496-406 ჩვ.წ.აღრიცხვამდე), მაგრამ სხვა ცნობები კოლხეთის და შესაბამისად, კუტაიას ადგილმდებარეობის შესახებ, დაცული არ ყოფილა.(1)

რეზიუმეს სახით ამგვარად შეიძლება ჩამოვაყალიბოთ ცნობები, რომლებიც აპოლონ როდოსელს თავისი ეპოქისათვის გააჩნდა:

1. არსებობდა მითიური კოლხთა ძლიერი სახელმწიფო დედაქალაქ კუტაიათი, (თუმცა მისი ადგილსამყოფელი მისთვის უცნობი ჩანს).

2 სახელგანთქმული ელინი (და პელაზგი) გმირები, რომელთა რიცხვი 50-ზე მეტია, კოლხეთის დასალაშქრად მიემართებიან ოქროს საწმისის მოსაპოვებლად.

3. კოლხური ხომალდების მიერ ბერძნების დევნის პროცესი ადრიატიკის ზღვაში ხდება, მის თითქმის უკიდურეს დასავლეთის ნაწილში!

4) მისთვის ცნობილია კოლხთა (მისი ეპოქის) საცხოვრისი შავ (პონტოს) ზღვაზე.

აი, ამ ინფორმაციის მცოდნე ჩანს აპოლონ როდოსელი, როცა პოემა „არგონავტიკას“ ქმნიდა.

კოლხთა განსახლების დინამიკას თუ დავაკვირდებით,, პოემის შექმნის მომენტისათვის კოლხები ცხოვრობდნენ ზუსტად იქ, სადაც აპოლონ როდოსელსა აქვს აღწერილი და ჰეროდოტეს ეპოქისაგან განსხვავებით, მათი დასავლეთით გავრცელების არეალი მდინარე ფაზისს (რიონს) კარგა მანძლით გაცილებული ჩანს!

როგორც ირკვევა, როდოსელისეული არგონავტების მოგზაურობა შავ ზღვაზე აპოლონ როდოსელისავე პოეტური ფანტაზიის ნაყოფი ჩანს და მხოლოდ და მხოლოდ ამ უკანასკნელის მიერ შავი ზღვის გეოგრაფიის კარგ ცოდნას ადასტურებს მხოლოდ.

ქართველი მეცნიერის გიორგი მელიქიშვილის დასკვნით, ჩვენს წელთა აღრიცხვამდე მე-13-ე საუკუნეში, არც ისტორიული და არც არქეოლოგიური მასალა მდინარე რიონის მიდამოებში ესოდენ მაღალგანვითარებულ კულტურას არ აჩვენებს. მისი მოსაზრებით კოლხეთი და კუტაია მდინარე ჭოროხის ზემო წელში არის საძიებელი. მისი ეს მოსაზრება ერთდროულად სწორიც ჩანს და მცდარიც. სწორი – პირველ ნაწილში, სადაც ის რიონის ტერიტორიაზე აიეტის სამეფოს არსებობას უარყოფს და მცდარი, მეორე ნაწილში, სადაც ასეთ ტერიტორიად მდინარე ჭოროხის ზემო წელი მოაჩნია. პროკოფი კესარიელი, ჩვენს წელთაღრიცხვის მე-6-ე საუკუნეში აღნიშნავს, რომ ჭოროხთან მცხოვრები ჭანები, ძირითადად მეცხოველეობას მისდევენ და მიწათმოქმედებას-ნაკლებად იცნობენ და ეტანებიან. ამასთანავე, ჭოროხის სათავეები სახნავ-სათესად მცირემიწიანი ტერიტორიებია, რაც მიწათმოქმედების მაღალ დონეს გამორიცხავს. გავიხსენოთ, რომ კოლხეთის მეფე აიეტი ფაქტიურად მიწათმოქმედებაში ცდის იაზონს სპილენძის ჩლიქიანი (ალბათ, სპილენძის ნალებით დაჭედილი) ხარების საშუალებით.

თვით სტრაბონიც აღნიშნავს, რომ კოლხეთის ეპითეტი უძველესი დროიდანვე „ოქრომრავალი“ იყო, ხოლო მისი ეპოქისათვის ოქრო წამლადაც არ მოიპოვება კოლხეთში.

როგორც კვლევებით ირკვევა, ენეტები (ვენეცია) ჭანური ტომის მოსახლეობაა, რომლებიც იკავებენ ადრიატიკის ზღვის უკიდურეს დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროს, ხოლო გაგრძელებას თვით ქალაქ ანკონამდე სვანთა რეტიული ტომები იკავებენ. ენეტების მიმდებარედ, ადრიატიკის ჩრდილო სანაპიროს ზანები, ლაზები და ზიხები იკავებენ, ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ტომი მეგრულენოვანია. მხოლოდ მათში, ან მათ მეზობლადაა საძიებელი, ასევე მეგრულენოვანი კოლხური ტომი, რომელთაგან მას მხოლოდ კილო-კავი აშორებს (სავარაუდოა, რომ ჭანური იმ დოზით განსხვავდებოდა ლაზურისაგან, როგორც საკუთრივ ლაზური კოლხურისაგან). მეგრულენოვანი კოლხეთი ენობრივ განვითარებას და ჩამოყალიბებას მხოლოდ მათ გვერდით თუ შესძლებდა.

წინარე კოლხეთის ძიების თვალსაზრისით ერთობ მნიშვნელოვანია დღეს საბერძნეთის შემადგენლობაში მყოფი ეპირის ოლქი, რომელიც უშუალოდ, დღევანდელ ალბანეთს ესაზღვრება ადრიატიკისა და იონიის ზღვის შესაყართან (ადრეული პერიოდის ილირიის, ზანების პირველსამშობლოს მიმდებარედ).

ჯერ კიდევ ჩვენს წელთა აღრიცხვამდე მე-5-ე საუკუნეში, მაკედონია და ეპირი საბერძნეთად არც კი ითვლებოდა. ცნობილია, რომ მაკედონელებს ბერძნულ ოლიმპიურ თამაშობებში მონაწილეობა ეკრძალებოდათ, როგორც არაბერძნებს. სავარაუდოა, რომ ეპირიც ასეთსავე დისკრიმინაციას განიცდიდა. საყურადღებოა, რომ მეოთხე საუკუნეში, ფილიპე და ალექსანდრე მაკედონელების ეპოქაში ბერძნული ქალაქი-პოლისები დემოკრატიული მმართველობის ქვეშ იმყოფებოდა, ან უკიდურეს შემთხვევაში, ტირანი მართავდა. მაკედონიასა და ეპირის ამ დროისათვის მეფეები მართავდნენ (საკმარისია აღინიშნოს, რომ ალექსანდრე მაკედონელის დედა ოლიმპიადა, ეპირის მეფის ქალიშვილი იყო). ბერძნებისგან განსხვავებით, მათი მმართველობითი ორგანო დემოკრატიული, სახალხო და ხალხის არჩეული არ ყოფილა.

პირდაპირი, წერილობითი ცნობები იმის შესახებ, რომ წინარე კოლხეთი-ეს ეპირია, ბერძნულ ლიტერატურაში არ მოიპოვება. ბერძნული წერილობითი წყაროები ასეთ ისტორიულ ფაქტებს ვერ აფიქსირებს, იმდენად შორეული ჩანს ეს ფაქტები.

და მაინც, კოლხური სული აღნიშნულ ტერიტორიაზე კიდევ დიდხანს ტრიალებს. თუმცა ამ ტერიტორიას დიდ ხანია ეპირი ჰქვია.

აქვეა კუნძლი კორკირა, რომლის მცხოვრებნი პელოპონესის (IV საუკუნე ჩვ. წ. აღრიცხვამდე) ომებში ყოველთვის დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარებას ცდილობდნენ და თავად ამ კუნძულის სახელი ბერძნებს კირკედან, აიეტის დისგან მოჰყავდათ. იმ პერიოდისათვის, როდესაც ტრიესტას ყურეში (დღესაც კი) მდებარე ქალაქი პოლა უკვე ვეღარ კოლხურობს, ის სოფოკლესათვის წმინდა კოლხური ქალაქი იყო ძველ წელთაღრიცხვის მე-6-ე საუკუნეში. სტრაბონისათვის მისივე გავლენით, ასევე კოლხური ქალაქია ახ. წელთა აღრიცხვის 1 საუკუნეში, თუმცა ამავე წიგნის სხვა ტომში მას უკვე ისტრიულ ქალაქს უწოდებს.

უაღრესად საინტერესოა სტრაბონის მსჯელობა კოლხეთისადმი ჰომეროსის დამოკიდებულებაზე:

„...ზუსტად ასევეა, კოლხებზე რეალური ცნობების მიხედვით, იასონის აიაში ლაშქრობის შესახებ. იცოდა რა მოგონილი თუ ნამდვილი ნაამბობი კირკესა და მედეაზე (ჯადოსნურ ბალახებზე, მათი ხასიათისა და ცხოვრების ნირის მსგავსებაზე) ჰომეროსმა მოიგონა მათი სისხლისმიერი ნათესაობის შესახებ, თუმცა ისინი ცხოვრობდნენ შორს ერთიმეორისაგან (ერთი-პონტოს უშორეს ნაწილში, მეორე-იტალიაში) განათავსა ორივე ისინი ოლქში, მდებარე შორს ოკეანეში(2), შესაძლოა, რომ იაზონი დაეხეტებოდა თვით იტალიამდეც კი. ხომ არსებობს რამდენიმე მაჩვენებელი არგონავტთა მოგზაურობისა კერევნის მთების რაიონში, ადრიატიკის ზღვის მახლობლად, პოსეიდონის ყურეში და კუნძულებზე, ტირენეის წინ მდებარეზე. (სტრაბონი, წიგნი 1, 2-10).

სტრაბონი, რომლისთვისაც როგორც ჩანს კარგადაა ცნობილი აპოლონ როდოსელის არგონავტიკა და მის მიერ არგონავტთა მოგზაურობის მარშრუტი, რომლისთვისაც ასევე კარგადაა ცნობილი კოლხთა მისი ეპოქისეული საცხოვრისი პონტოზე (შავ ზღვაზე), ჰომეროსის მოგონილად მიიჩნევს კირკეს და მედეას ნათესაობას. კირკეს, მედეას მამიდის საცხოვრისი კუნძული კორკირას მიიჩნევენ (და სრულიად არასწორად), იონიისა და ადრიატიკის ზღვის შესაყარზე, ხოლო მედეა იმავ როდოსელის სიტყვებით, პონტოს (შავ) ზღვაზე ცხოვრობს. თუმცა სტრაბონი ვერ უარყოფს იაზონის ლაშქრობის მისი დროისთვისაც არსებულ ვერსიას, რომ ლაშქრობა ადრიატიკის ზღვის მიმართულებით ჩატარდა თვით იტალიამდეც კი! გასაგებია, აპოლონ როდოსელისა და სტრაბონის პოზიციებიც, რადგანაც მათი დროისათვის კოლხთა სამშობლო – ეს უკვე ევქსინის პონტოა, როგორც მათზე გაცილებით ადრე ჰეროდოტე აღნიშნავს და არსად სხვაგან!

ჰომეროსისთვის, რომლის ეპოქისათვის კოლხთა პირველსამშობლო ჯერ კიდევ ერთადერთი სამშობლოა, ან უკიდურეს შემთხვევაში, კოლხთა პირველსაცხოვრისის კერია ჯერაც არ ჩამქრალა და კვალი არ წაშლილა ადრიატიკაში, იასონის ლაშქრობა ადრიატიკის მიმართულებით სრულიად რეალური ჩანს, ხოლო კირკე-მედეას სისხლისმიერ ნათესაობა-უცილობელი. (ჰომეროს სტრაბონის თემას ოდნავ მოგვიანებით დავუბრუნდებით)

ის რომ არგონავტების „არგო" რაღაც მანქანებით მოხვედრილია ადრიატიკის ზღვაში, ტრიესტის (უშორეს) ყურეში, მუსირებს არქაულ ბერძნულ წყაროებში, სავარაუდოდ აპოლონ როდოსელამდეც კი. აპოლონ როდოსელი ადასტურებს ამ ცნობას, რომელსაც ფაქტიურად სტრაბონიც იზიარებს. ხოლო სტრაბონის უმცროსი თანამემამულე, პლინიუს უფროსის მიხედვით კი:

„მრავალი ავტორი, მათ შორის ნეპოტი (92-24 წ ქრისტემდე) რომელიც თვითონ ცხოვრობდა პოზე, შეცდომით ამტკიცებდა, რომ მდინარე გისტერი (დუნაის ნაწილი) გამოყოფილი მდინარე დუნაიდან, ჩაედინება ადრიატიკის ზღვაში პადის შესართავის წინ... მაგრამ თავისთავად არ არსებობს არავითარი მდინარე, რომელიც გამოეყოფოდა დუნაის და ჩაედინებოდა ადრიატიკის ზღვაში. მე ვფიქრობ, რომ (ეს ავტორები) მოტყუებული იყვნენ (გადმოცემით რომ ხომალდი) „არგო“ მდინარეზე ეშვებოდა ადრიატიკის ზღვაში ტერგესტის ახლოს – გაუგებარია რომელი მდინარით. უფრო ჩაფიქრებული (მკვლევარები) ამბობენ, რომ არგონავტებმა გადაიტანეს თავიანთი გემი ალპებზე (!) მხრებით, შემდეგ გაცურეს გისტერით ზემოთ, მერე სავაზე (მდინარე), მერე ემონიასა და ალპებს შუა აღმავალი ნუპორტით“ (პლინიუს უფროსი, წიგნი III – ბუნებრივი ისტორია-128)

**ზურაბ ჭკადუა**

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*

# ლავრენტი ბერია – საბჭოთა კავშირის ცილდაწამებული გმირი



*(გაგრძელება წინა ნომრიდან)*

"სამხედრო გადაზიდვების ამგვარი დროებითი გეგმა არ გახლავთ რეალური.

გადაზიდვების გეგმაში არ არის მითითებული მატარებლის სახეობა, დატვირთვის ზომები, გადმოტვირთვის ზომებთან შედარებით, გადაჭარბებულია 100.000 ვაგონით, არ არის გათვალისწინებული ტვირთბრუნვა ლიტვის, ლატვიის და კიშინიოვის სარკინიგზო ხაზებზე.

ლვოვის, კოველისა და ბრატსკის სარკინიგზო ხაზებზე გათვალისწინებულია 75 პროცენტი ვიწროლიანდაგიანი ვაგონების დატვირთვა და 25 პროცენტი ფართოლიანდაგიანი ვაგონების დატვირთვა, მაშინ როცა ეს გზები თითქმის მთლიანად გადაყვანილია ფართორელსიან სისტემაზე.

დღემდე არ არის შემუშავებული სახალხომეურნეობრივი ტვირთების გადაზიდვის ცენტრალიზებული გეგმა ომის დაწყების პირველი დღეებისათვის. მოკავშირე რესპუბლიკათა სახალხო კომისარიატებმა არ წარმოადგინეს სსრკ საგზაო მიმოსვლის სახალხო კომისარიატში განაცხადები ტვირთებზე, რომელთა გადაზიდვაც უნდა მოხდეს ომის პირველ დღეებში. სსრკ საგზაო მიმოსვლის სახალხო კომისარიატის სამხედრო-სამობილიზაციო განყოფილება კი ჯეროვან ყურადღებას არ უთმობს ამ განაცხადების მიღების საკითხს.

სსრკ საგზაო მიმოსვლის სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. ბაგაევი თვეობით აყოვნებს ომის პირობებში რკინიგზის სამობილიზაციო გეგმების საკითხების შემუშავებას.

არსებული რიგი სარკინიგზო ხაზების გამტარუნარიანობა, განსაკუთრებით დასავლეთის რკინიგზის, ვერ აკმაყოფილებს სამხედრო უწყებათა მოთხოვნებს.

მეტ წილ სარკინიგზო ხაზებზე არასაკმარისი გამტარუნარიანობა ახდენს ხაზის შედარებით მაღალი გამტარუნარიანობის შეზღუდვას.

შედარებით ვიწრო ადგილებად უკრაინისა და ბელორუსიის დასავლეთის სარკინიგზო ხაზებზე ითვლებიან მონაკვეთები, რომელთაც შეუძლიათ დღეღამეში 4-9 სარკინიგზო შემადგენლობის გატარება, ნაცვლად აუცილებელი 12-48 სარკინიგზო შემადგენლობისა, რასაც ითვალისწინებს თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის მოთხოვნა.

მინსკის კვანძის არასაკმარისი განვითარების რესურსი აქვს: მოკლე და სუსტად განვითარებული სარკინიგზო ხაზები სათანადოდ არ მარაგდება წყლით; ამიტომ, მას შეუძლია გაატაროს მოსკოვიდან მომავალი 42 წყვილი მატარებელი, მაშინ, როცა ამ გადასარბენს საერთოდ შეუძლია გაატაროს 96 წყვილი მატარებელი.

მშენებლობის დამთავრების შემდეგ, 1942 წელს, მონაკვეთი პროსკუროვ-წითელი ლვოვის რკინისგზა შეძლებს გაატაროს 48 წყვილი მატარებელი, ტერნოპოლის კვანძს კი შეუძლია მხოლოდ 15 წყვილი სამგზავრო შემადგენლობის გატარება.

იგივე მდგომარეობაა სამხრეთ-დასავლეთის, კოველსკის, ლვოვის და დასავლეთის გზების რიგ მონაკვეთებზე.

ამასთან, 1940 წელს ხელისუფლების მიერ რკინიგზის სახალხო კომისარიატისათვის გზების გამტარუნარიანობის გასაზრდელად გამოყოფილი ერთი მილიარდ 286 მილიონი მანეთიდან ათვისებულია მხოლოდ 727,7 მილიონი მანეთი (56,8 პროცენტი).

ასიგნებანი გზების გამტარუნარიანობის გასაზრდელად ათვისებულია 39-40 პროცენტით, სათადარიგო ლიანდაგების გასაყვანად – 61,8 პროცენტით, რკინიგზის ახალი ხაზების ასაგებად – 63,2 პროცენტით.

24 მნიშვნელოვან თავდაცვით კვანძებზე და ძირითად მიმართულებებზე: მინსკი, პოლოცკი, როვნო, სარნი, ბარანოვიჩი, ლვოვი, ბრესტი, შეპეტოვკა, ჟმერინკი, კაზატინკი და სხვა, სადაც მიმდინარეობს სამუშაოები გამტარუნარიანობის გასაზრდელად, 1940 წელს გამტარუნარიანობა ოდნავაც კი არ გაზრდილა, რადგან დაწყებული სამუშაოებიდან არ დამთავრებულა არცერთი.

მინსკის სარკინიგზო კვანძზე ასიგნებული 12 მილიონი მანეთიდან ათვისებულია მხოლოდ 2,01 მილიონი მანეთი (16,7 პროცენტი).სარკინიგზო ხაზებზე ნოვოგრად-ვოლინსკი-შეპეტოვკა, შეპეტოვკა-გრეჩანი შესრულებულია აუცილებელ სამუშაოთა 5,9 პროცენტი, კრასნე-ლვოვი-პერემიშლის ხაზზე – 14 პროცენტი, კოროსტენოსტკის ხაზზე – 2,6 პროცენტი, ოდესა-პომიშნაიას ხაზზე – 17,6 პროცენტი, ჩუდოვო-ვოლხოვსტროის ხაზზე – 15,5 პროცენტი. პეტროზავოდსკ-მასელსკაიას ხაზზე გამტარუნარიანობის გაზრდის სამუშაოები საერთოდ არ დაწყებულა.

ამქცევი გზების მშენებლობა ვინიცის რკინიგზის შეპეტოვკა-გრეჩანი-კამენეც-პოდოლსკის გადასარბენზე – 1940 წელს სამუშაოები შესრულდა მხოლოდ 17 პროცენტით. საამშენებლო სამმართველოს უფროსმა მარკოვმა არ გამოიყენა მუშა ძალის დაქირავების საშუალებები და ჩააგდო მუშების მობილიზების ორგანიზაცია, რის გამოც 1.100 მუშის ნაცვლად მშენებლობებზე დასაქმებული იყო 170 ადამიანი.

№ 56 მშენებლობაზე უკრაინის დასავლეთ ოლქებში, არ შესრულებულა მთავრობისა და სსრკ საგზაო მიმოსვლათა სახალხო კომისარიატის არცერთი დავალება, რომელიც ეხებოდა სარკინიგზო ხაზებისა და ცალკეული გადასარბენების მშენებლობას.

სამშენებლო ორგანიზაციის უფროსმა სკრიპკინმა 1940 წელს უგულვებელჰყო რა სსრკ საგზაო მიმოსვლათა სახალხო კომისარიატის მითითებები, უაზროდ გაფანტა სახსრები და ვერ დაასრულა მეტად მნიშვნელოვანი მშენებლობა. ამასთან, სკრიპკინმა არაერთხელ მოახსენა სსრკ საგზაო მიმოსვლათა სახალხო კომისარიატს აღნიშნულ სამუშაოთა წარმატებით მიმდინარეობის თაობაზე.

დაცვითი ობიექტების საგზაო მიწისზედა ნაწილის მშენებლობის მომარაგება ხდება კომპლექტაციის იგნორირებით. მაგალითად, ოდესის რკინიგზაზე, სამაგრი სარჭების უქონლობის გამო ვერ ხერხდება 40 კილომეტრი სიგრძის რკინიგზის ლიანდაგის გაყვანა, ოდესის რკინიგზის სადგურ ჩუბოვკაზე მდებარე მე-6 სამშენებლო სამმართველოს გააჩნია განძელები (შპალები), მაგრამ არა აქვთ რელსები, სადგურ ივანოვკაზე აქვთ რელსები, მაგრამ არა აქვთ შპალები, სადგურ პერეკრესტოვოზე კი აქვთ შპალებიც და რელსებიც, მაგრამ არ გააჩნიათ სამაგრი მასალა.

არ შესრულებულა აგრეთვე სარკინიგზო მაგისტრალებზე სამხედრო მოედნების მშენებლობის სამუშაოები. ამ მიზნით გამოყოფილი 3,5 მილიონი მანეთიდან 1940 წელს ათვისებული იქნა მხოლოდ 35 პროცენტი, უკრაინისა და ბელორუსიის დასავლეთ ოლქებში კი მხოლოდ 20,9 პროცენტი.

სამეთაურო პუნქტების მშენებლობა არ მარაგდებოდა აპარატურით, კავშირგაბმულობისა და განათებითვის აუცილებელი მასალებით, რის შედეგადაც ამ პუნქტების მშენებლობა შეჩერდა. გამოყოფილი სახსრები სამი კვარტლის განმავლობაში ათვისებული იქნა 29 პროცენტით.

სსრკ საგზაო მიმოსვლათა სახალხო კომისარიატის ტექნიკურ-საექსპერტო კომისიის ყოფილი თავმჯდომარე შელიუბსკი (ამჟამად მუშაობს რკინიგზის მშენებლობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში) და სსრკ საგზაო მიმოსვლათა სახალხო კომისარიატის სოიუზტრანსპროექტის ყოფილი უფროსი ლევინი (ამჟამად მუშაობს სსრკ საგზაო მიმოსვლათა სახალხო კომისარიატის ტექნიკურ-საექპერტო განყოფილების უფროსად) წლების განმავლობაში გამორიცხავდნენ სარკინიგზო განვითარების პროექტებში სადგურებისა და კვანძების მშენებლობას, რამაც გამოიწვია სერიოზული შეფერხებები სარკინიგზო მაგისტრალებზე.

სსრკ საგზაო მიმოსვლათა სახალხო კომისარის მოადგილე და, ამავდროულად, სამხედრო-სამობილიზაციო სამმართველოს უფროსი ამხ. ბაგაევი სათანადო ყურადღებას არ აქცევს რკინიგზის თავდაცვითი ნაგებობების მშენებლობის საქმეს და არ რეაგირებს ამ მიმართულებით გაკეთებულ შენიშვნებზე.

ამ საქმეში ასევე დიდი უყურადღებობა გამოიჩინა სსრკ საგზაო მიმოსვლათა სახალხო კომისარიატის სამობილიზაციო სამმართველოს უფროსის მოადგილემ ამხ. ბელიაკოვმა. ნაცვლად თავდაცვითი ნაგებობების მშენებლობაზე კონტროლისა, იგი შემოიფარგლება მხოლოდ ზოგადი ცნობების შეგროვებით, რომლებიც, როგორც წესი, მექანიკურად იკერებიან საქმეებში.

გზების სამობილიზაციო მარაგში გეგმით საჭირო 30.700 ვაგონის ნაცვლად სახეზეა მხოლოდ 18.600 ვაგონი.

სამობილიზაციო მარაგის ვაგონები ისეა განლაგებული, რომ ცარიელი ვაგონების მოძრაობის რაიონები არ თანხვდებიან მასიურად ტვირთის გადაზიდვების რაიონებს. ამის შედეგად, მობილიზაციის პირველ დღეებში სამხედრო გადაზიდვების დიდი წილი დადგება ჩავარდნის საფრთხის ქვეშ.

დასავლეთის მოსკოვ-კიევის და სხვა გზებზე (სულ 19 გზაზე) არ არის დაბალანსებული ცარიელი და დატვირთული სარკინიგზო ეშელონების მოძრაობა.

გარდა ამისა, დიდი სხვაობაა მოძრავი შემადგენლობის მარაგებს შორის.

სამხრეთის და სამხრეთ-დონეცკის რკინიგზის პუნქტებზე თავმოყრილია დახურული ვაგონების დიდი რაოდენობა, მაშინ, როცა აქ საჭიროა ღია პლატფორმები.

მძიმე ტანკების ტრანსპორტირებისათვის საჭიროა ბეტონის პლატფორმები. ამგვარი პლატფორმები კი გაგვაჩნია მხოლოდ 387 პუნქტზე, რომელთა შორის მარაგად განსაზღვრულია 125 პლატფორმა. 1940 წელს არ აშენებულა არცერთი 60-ტონიანი პლატფორმა. კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაა შედარებით მძიმე პლატფორმების აშენების მხრივ. სულ გაგვაჩნია მხოლოდ 19 ამგვარი პლატფორმა.

რკინიგზის ქვედანაყოფები ვერ ასრულებენ სსრკ საგზაო მიმოსვლათა სახალხო კომისარიატის გეგმებს რეზერვში საკმაო რაოდენობის ორთქმავლების ჩართვის თაობაზე. ეს განსაკუთრებით ეხება დასავლეთის უკრაინისა და ბელორუსიის, ასევე ვინიცკის, სამხრეთ-დასავლეთის, ბელორუსიის, დასავლეთის, კიშინიოვის რკინიგზებს. ამ გზებზე ორთქმავლების მარაგი შევსებულია მხლოდ 70-75 პროცენტით.

არ არის ორგანიზებული რეზერვში მდგომი ორთქმავლების ტექნიკურ მდგომარეობაზე კონტროლი, რის გამოც უამრავი ორთქმავალი არ არის მოყვანილი მუშა მდგომარეობაში.

კალინინის რკონიგზის ოსტაშკოვოს სადგურზე, ბელორუსიის რკინიგზის გომელისა და მოგილიოვის სადგურებზე აღმოჩენილია რეზერვში მდგომი ორთქმავლები, რომელთაც არ გააჩნიათ რესორები და ტრიანგელები, გათბობის სისტემები, ბუფერები და გააჩნიათ სხვადასხვა დეფექტები. კალინინის რეზერვის ორთქმავლები არიან წარმოუდგენლად ბინძურ მდგომარეობაში.

სსრკ საგზაო მიმოსვლათა სახალხო კომისარიატის ბელოსტოკის რკინიგზის შემოწმების შედეგად დადასტურდა, რომ აქ ჩამოსული "Щ" სერიის 20 ორთქმავლიდან 10 იმყოფებოდა გამოუსადეგარ მდგომარეობაში.

იგივე მდგომარეობა იყო დასავლეთის და კალინინის რკინიგზის განყოფილებებში.

სპეცფორმირებების (სარემონტო ბაზების) მშენებლობა მიმდინარეობს უსისტემოდ და ისინი ფაქტიურად გამოუსადეგარია ექსპლუატაციისათვის.

სსრკ საგზაო მიმოსვლათა სახალხო კომისარიატის სამხედრო-სამობილიზაციო სამმართველოს დღემდე არ შეუმუშავებია ფრონტისპირა სარკინიგზო ხაზების აღდგენის გეგმა.

არასაკმარისად ხდება სამობილიზაციო რეზერვების აღდგენა.

მაგალითად, რელსების და განძელების მარაგი შეადგენს ნორმის 50 პროცენტს, გადამყვანი ისრებისა – 55 პროცენტს, შპალებისა – 40 პროცენტს, სატელეგრაფო მავთულისა – 50 პროცენტს, სატელეგრაფო კაბელებისა – დაახლოებით 40 პროცენტს, 80 და 85-მეტრიანი დასაშლელ-ასაწყობი ხიდებისა – 20-23 პროცენტს, მუხლუხოებიანი ტრაქტორებისა – 3 პროცენტს, გადასატანი ელექტროსადგურებისა – 15-17 პროცენტს.

სამობილიზაციო მარაგების ნორმაში არაა გათვალისწინებული მოწყობილობები, რომელიც აუცილებელია დეპოებისა და ელექტროსადგურების მეურნეობათა აღსადგენად. რიგ სამობილიზაციო ბაზებში ინახება დაუკომპლექტებელი მოწყობილობები და მასალები. დღემდე არაფერია გაკეთებული რკინიგზის ხაზების ხე-ტყის მასალებით მომარაგების საქმეში ომის პირველ თვეებში.

სსრკ საგზაო მიმოსვლათა სახალხო კომისარიატსა და სსრკ ჯანდაცვის სახალხო კომისარიატს შორის არაა გაფორმებული ხელშეკრულება ომის პერიოდში საიზოლაციო-გამშვები პუნქტების, სადეზინფექციო რაზმების, ობსერვაციული პუნქტების და სამედიცინო მომსახურეობის სხვა სახეობათა მოწყობის თაობაზე.

ასევე არ არის გაფორმებული ხელშეკრულება ამ ორ უწყებას შორის რკინიგზაზე ვეტერინალური მომსახურეობის განხორციელების თაობაზე, რაც აუცილებელია ცხენებისა და სხვა ცხოველების გადაყვანისას.

ბალტიისპირეთში დღემდე არ დაწყებულა სამობილიზაციო სამუშაოები.

**სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი**
**ლ. ბერია**
**სსრკ შინსახკომის მთავარი სატრანსპორტო სამმართველოს უფროსი მილშტეინი".**

(ტექსტის ორიგინალი საბეჭდ მანქანაზეა აწყობილი).

აქაც, სსრკ საგზაო მიმოსვლათა სახალხო კომისარი იყო კაგანოვიჩი. იგი ამჯერადაც ორდენის გარეშე გადაურჩა ბელადის რისხვას...

**თარგმანი როლანდ ჯალაღანიასი,**
**(გაგრძელება იქნება)**

**სახალხო მოძრაობა "სამეგრელო" მწუხარებით იუწყება, რომ 95 წლის ასაკში გარდაიცვალა შესანიშნავი პიროვნება, მოძრაობის დიდი გულშემატკივარი, ბატონი**

**ამირან ყურუა**

**და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს**

# გრაკლიანის გორაკზე აღმოჩენილი დამწერლობის თაობაზე



საქართველო უნიკალური და საოცრებათა ქვეყანო რომ გახლავთ, დიდი ხანია აღიარებულია. რომ ჩვენს ქვეყანაში ჩაეყარა საფუძველი ბევრ მსოფლიო მნიშვნელობის წამოწყებებს, ესეც ეჭვმიუტანელია. მხოლოდ ეგ არის, რომ არ აგვიგია შვიდი საოცრებიდან არც ერთი. მაგრამ უეჭველია საოცრებაა გრაკლიანის გორაკის აღმოჩენები (დასახლებები და სარკოფაგებში შენახული უძვირფასესი ნივთები) – თუნდაც იურიდიული დოკუმენტის დასასტამბი მოწყობილობა, რომლის მსგავსი სამხრეთ მესოპოტამიის ურუქშია დამზადებული და მიეკუთვნება ძვ. წელთ.აღრ. მეოთხე ათასწლეულს. ეს იშვიათი ექსპონატია და მხოლოდ უმაღლესი რანგის მუზეუმებშია დაცული. მგონია, რომ ეს ფაქტი აშკარად მეტყველებს ერთ რამეზე, რომ მესოპოტამიასა და კავკასიაში მცხოვრებ ხალხებს შორის მჭიდრო კავშირი არსებობდა. იქნებ ერთი მოდგმისანნი იყვნენ, ან მესოპოტამიიდან მიგრაციით მოხვდნენ იბერიის ტერიტორიაზე ან პირიქით. რაც შეეხება უძველესი დამწერლობის ნიმუშების აღმოჩენას. ეს ის განძია, თავი რომ მოვიწონოთ მსოფლიოს წინაშე.

როგორც გათხრების ხელმძღვანელმა, პროფესორმა ვახტანგ ლიჩელმა განაცხადა, რომ **"აშშ-ს ლაბორატორიამ ეს წარწერა ძვ. წელ. აღრ. მეთერთმეტე-მეათე საუკუნეებს მიაკუთვნა. ამ აღმოჩენებმა შესაძლებელია ქართული ისტორიის გარკვეული ეტაპი შეცვალოს. დამწერლობა აღმოჩნდა ტაძარში, რომელიც კარგად არის შენახული. წარწერები ორივე საკურთხეველშია. ერთ მათგანზე, რომელიც დასავლეთითაა, თიხით არის გამოყვანილი რამდენიმე ასო და მეორე საკურთხევლის პოსტამენტის შუბლი მთლიანად არის დაფარული წარწერით."**

მაიამის ლაბორატორიის დასკვნით, გრაკლიანის დამწერლობა შესაძლებელია აღმოჩნდეს მსოფლიოში პირველი, ანუ ადრეული, რაც საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებთა მაღალ კულტურასა და სოციალურ ყოფაზე ღაღადებს. დღემდე ვიცოდით, რომ მსოფლიოს 14 დამწერლობათა შორის ჩვენიცაა. ხოლო ხუთ ყველაზე ლამაზ დამწერლობას შორის ქართული მესამეა.

გრაკლიანის გათხრებმა კი წინ წაგვწია და პირველები გაგვხადა. ამაზე უფრო დიდი ბედნიერება ჩვენნაირი პატარა კი არა, ნებისმიერი ერისთვის ღირსების საქმეა.

ახლა დგას საკითხი წარწერის წაკითხვის შესახებ. ამ თემაზე საინტერესო დაკვირვება გამოაქვეყნა მკვლევარმა ბატ. კუკური ფიფიამ. ის აღნიშნავს, რომ წარწერა შესრულებულია ასომთავრულით, რომლის განვითარების შედეგად ჩამოყალიბდა ნუსხური, შემდეგ კი მხედრული.

კ. ფიფია ბრძანებს, რომ გრაკლიანში საქმე გვაქვს **"ლიგატურასთან"**, რაც ნიშნავს იმას, რომ ერთი ასო-ნიშნის გრაფიკული ელემენტი გამოყენებულია მეორის სასარგებლოდ და პირიქით. აქ პირველი და მეოთხე გრაფიკული გამოსახულება ორ-ორ ასო ნიშანს შეიცავს. მესამე გრაფიკული გამოსახულება კი სამ ასო-ნიშანს. ტექსტის ამოკითხვის ამ მეთოდით მან მიიღო სიტყვა **"ქიანა მიორც"**, ანუ, მეგრულიდან დედა ქართულზე გადაყვანით ნიშნავს **"სამყარო მიყვარს"**. მართლაც, გრაკლიანის გორაკზე აღმოჩენილი დამწერლობას თუ ყურადღებით დავაკვირდებით მკვლევარის ვარაუდი შეესაბამება სინამდვილეს.

დღეს დგას საკითხი, რომ ბატონ კ. ფიფიას მხარი აუბან ენათმეცნიერებმა და დარგის სპეციალისტებმა, გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები. და ეს რაც უფრო ადრე მოხდება, მით უფრო ადრე მოხდება ჩვენი კულტურული ფენომენის აღიარება და დაფასება.

**უკვე სავსებით დასტურდება ევროპის ერთ-ერთი უდიდესი მკვლევარის ნიკო მარის დასკვნა, რომ "მხედრული დამოუკიდებელი დამწერლობაა, რომელსაც ფესვები ღრმა წარსულში აქვს". დიდმა წინაპარმა, უპირველესმა ქართველმა ისტორიკოსმა ივ. ჯავახიშვილმა ბრძანა: "შეიძლება გაირკვეს, რომ ქრისტეს წინანდელი სამწერლობო ენა ქართულ შტოს კი არ ეკუთვნოდა, არამედ მეგრულ-ლაზურს, ან სვანურს".**

ი. ჯავახიშვილის ვარაუდი "შეიძლება გაირკვესო" დიახაც, რომ გაირკვა. ახდა მისი ბრძნული წინასწარმეტყველება. მტკიცდება, რომ ჩვენს დიდებულ წინაპრებს ჰქონიათ დამწერლობა. ამაზე თავის დროზე გვაუწყებდა უკვდავი ჰეროდოტე: **"კოლხებს ოდესღაც დამწერლობა ჰქონდათ"**. აპოლონ როდოსელი კი უფრო აკონკრეტებს და აცხადებს: **"კოლხებს შენახული აქვთ მამათაგან ნაწერი კვირბები, რომელზეც ირგვლივ მოგზაურთათვის ნაჩვენებია ქვეყნის ყველა გზა და საზღვარი"**.

კიდევ მეტი – ცნობილია, რომ კუნძულ კრეტაზე მკვლევარ ლუიჯი პერნიეს მიერ 1908 წელს ქალაქ ფესტოსში აღმოჩენილ ე. წ. **"ფესტოსის დისკოზე"** წარწერის შესწავლამ, რომელიც ბრინჯაოს ხანით არის დათარიღებული და არქეოლოგიის ერთ-ერთ ყველაზე განთქმული და ჩვენამდე მოღწეული პირველი დოკუმენტია, რომელიც მრავალჯერადი გამოყენების ნიშან-ყალიბებით შეიქმნა. მკვლევარმა გია კვაშილავამ პროტო-ქარულის ენის მისადაგებით ამოხსნა წარწერა. იგი კოლხურია და მასზე "დია ნანას" გალობაა ამოტვიფრული.

მსოფლიოს ცნობილმა მეცნიერებმა და სპეციალისტებმა არ უარყვეს ქართველი მეცნიერის კვლევის მეთოდი და სიზუსტე. ასე რომ კოლხური კულტურის ფესვები უხსოვარ დროშია და განფენილია მსოფლიოს ვრცელ ფართობზე.

პროფესორი ბატ. მამანტი ძაძამია წერდა: **"უძველეს და ძველ დროში ქართულ-ქართველური ეთნოსის ხალხები განსახლებული ყოფილან ევროპისა (მის თითქმის მთელს ტერიტორიაზე აზიის ტერიტორიის ვებერთელა სივრცეზე. ესენი ყოფილან კოლხების, იბერების, შუმერების, პელაზგების, ეტრუსკების, ბასკების, აცტეკების, ხეთების და სხვათა და სხვათა სახით. ამაზე მეტყველებს როგორც წერილობითი, ასევე არქეოლოგიური, ტოპონიმიკური. ეთნოლოგიური, გენეტიკური მონაცემები და აღნიშნულ ტერიტორიაზე დღეისთვის განსახლებულ სხვადასხვა ეროვნების ხალხების ენაში (მათ ლექსიკაში) არსებული (დალექილი) ქართულ-ქართველური ენების კერძოდ, კოლხური სიტყვათა ძირეული ფორმები. დაფიქსირებულია მათი განსაკუთრებული სიუხვე"**.

ზემოთქმულიდან გამომდინარე სავსებით შესაძლებელია გრაკლიანის წარწერის ფიფიასეული წაკითხვა მართებული იყოს. კოლხეთი ჩვენია ღვიძლია. სამწუხაროდ ქართველი მეცნიერ-მკვლევარები დუმილით შეხვდნენ, როგორც გ. კვაშილავას უნიკალურ აღმოჩენას. იგივე მეორდება კუკური ფიფიას ვარაუდთან დაკავშირებით.

ეს დუმილი დამაფიქრებელია და ბადებს ეჭვებს. ეს ხომ არ ნიშნავს ჩვენი ეროვნული ცნობიერების სიღატაკეს?

რატომ ხდება ასე? ნუთუ იგივე ბედი ეწევა ამ აღმოჩენას, როგორც უჯრაში იქნა გამოკეტილი იოსებ ყიფშიძის **"მეგრული (ივერიული) ენის გრამატიკა ქრესტომათიითა და ლექსიკონითურთ"**?

აკადემიკოსი სერგი მაკალათია თავის დროზე ცხადად ამბობდა, რომ **"საქართველოს ისტორია კოლხეთის ისტორიით უნდა იწყებოდეს და ამ ფაქტს ისტორიის ვერც ერთი მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის"**. იგივეს ბრძანებდა, დიდი ივ. ჯავახიშვილი: **"საქართველოს ისტორია არა და არ უნდა იყოს გაყალბებული და იგი უძველესი კოლხეთის ისტორიით უნდა იწყებოდეს და არა ისტორიული ზღაპრებითა და ლეგენდებით"**.

მართლაც, უნდა დასრულდეს ისტორიის გაყალბება. ბოლოსა და ბოლოს უარი ვთქვათ შეკვეთით შედგენილი ისტორიის შესწავლაზე. დავუჯეროთ ისტორიის მამას ივ. ჯავახიშვილს. მოვაშოროთ მას ზღაპრების საბურველი და მომავალ თაობას შევთავაზოთ რეალური და წმინდა ისტორია. ამ გარდუვალობას ერი ვერ ასცდება და რამდენად ადრე მოხდება ეს, მით უფრო სასარგებლო იქნება ქვეყნისთვის. და ჩვენ თუ მართლაც გვინდა ჭეშმარიტების გზით ვიაროთ. ეს ყოველივე უნდა დაიწყოს **"ფესტოსის დისკოსა"** და გრაკლიანის წარწერების აღიარებით.

რაც შეეხება მკვლევარ კუკური ფიფიას მიგნებას ის იმსახურებს მხარდაჭერასა და თანადგომას. მისივე სიტყვები მინდა გავიმეორო – **"იქ სადაც პოლიტიკა მართავს მეცნიერებას, იქ სადაც მეცნიერული სინდისი და ახალ აღმოჩენებზე ინტერესი არ არსებობს, მეცნიერება ჩაკლულია"**.

დიახაც, რომ ასეა!

**ბორის დავითაია,**
**აკ. წერეთლის სახელობის პრემიის ლაურიატი**

პოეზიის კუთხე

## სამადლო ლუკმა

ახსოვს ქაიროს, ახსოვს მემფისს და
ახსოვს ნილოსს,
მოსთქვამდა დედა: „მამლუკად რად
გაგზარდეს, შვილო?
არა მაქვს შეშა და ბუხარი დარჩა უკვამ-
ლოდ,
მაგრამ ვერ გეტყვი, მომეც ლუკმა
მამელუკმაო!“

...შენ გაგიმართლა და ამაღლდი, შინ-
ჯიკაშვილო.
თუმცა, მოდი და დღევანდელი სინჯიც
გავსინჯოთ!

გავიდა ორი ასწლეული უკვე უკლებლივ
და მოგვიმრავლდნენ დღევანდელი
მამელუკები!
მათ არ იზიდავს არც სიმდიდრე და არც
იზიდა,
შვილებს შიათ და სამუშაოს პოვნა იზი-
დავთ!

არადა, არა, არ გვეღირსა ჟამი სიმშ-
ვიდის,
უმუშევრობა ხალხს სულს ხდის და
მძლავრობს შიმშილი!
ამხობს ქვეყანას თავკერძობა, პარ-
ტიობანა,
წყლული ბევრია, ჭრილობა კი ვერვინ
მობანა!..

შენ ბავშვობიდან ვეღარ ნახე შენი მარ-
ტყოფი,
მაგრამ ქვეყნისთვის იმედი ხართ ყველა
მანდ მყოფი,
ვინც სამშობლოდან უცხოეთში გადმოი-
ყარნენ,
როცა უნასი ხვრელიდან ვერ გამოვიყ-
ვანეთ...

მშვიდობის ნაცვლად წინაუკმუ ხმალთა
ქნევითა,
ცხოვრებამ ისე დაგვამცრო და დაგ-
ვაქვეითა,
მონური შრომა სანატრელი გახდა
ხვეწნითა,
შიმშილის გამო უცხოეთში
გადახვეწილთა!

...ეჴ, საქართველოვ, დაყოფილო უკვე
სამადო,
როდემდე გარჩენს მამელუკის ლუკმა
სამადლო?!

### გზასაცდენილთა პარალელები

## ვაი, ჩვენი ცოდვა!

ჩვენისთანა ბედნიერი კიდევ არის სადმე
ერი?!
დიდი ილია მართალი

საძირკველი შეირყა,
აღარ ფასობს ცოდნა,
უწიგნური ბევრი გვყავს,
წიგნიერი – ცოტა.
ყველაფერი შეირყვნა,
მადლს დასძლია ცოდვამ,
უსაქმური ბევრი გვყავს,
საქმის მცოდნე – ცოტა.
შედავებას ვერ ვრისკავთ,
ვერც ახლოს, ვერც შორით,
როცა ამტვრევს ერის კარს
ნდომა ფულის შოვნის.
– რას მოვედოთ, რომელ ხავსს? –
ეძებს ერი, ბერი!
გმირი დედა აღარ გვყავს,
უშვილძირო – ბევრი.
რა გინდ ხეხო ქვიშითა,
ყვავი რჩება ყვავად,
როცა სხვისი ჯიში და
კორუფცია ყვავა.
რა დღეში ვართ, ერიჰა!
ვაი, ჩვენი ცოდვა!
სუფრის კაცი ბევრი გვყავს,
ერის კაცი – ცოტა!

**ალექსანდრე შენგელია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ისევ NDI-ის გამოკითხვების შესახებ



***საქართველოს მოსახლეობის არცთუ უმნიშვნელო ნაწილი ამერიკული ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) მიერ ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგებს უარყოფითად აღიქვამს – მიიჩნევს რა მას მიკერძოებად, მმართველი პარტიის მხარდამჭერ აქტად.***

***საქართველოში მოქმედი ამერიკული ორგანიზაციის ფილიალის დანიშნულებაც ის არის, რომ ე.წ. გამოკითხვის საშუალებით ზეგავლენა იქონიოს საზოგადოებაზე და შთააგონოს მას, რომ საზოგადოების თითოეული წევრის უარყოფითი განწყობა საკუთარი ხელისუფლების მიმართ ნაკლებსაფუძვლიანია. რა შეიძლება ეწოდოს NDI-ს ქცევას, თუ არა პირდაპირი ზეწოლა საზოგადოებაზე, მის თითოეულ წევრზე?***

აღნიშნულის მაგალითი იყო 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს ჩატარებული გამოკითხვები, რომელთა შედეგები აშკარად მიუთითებდა მოსახლეობისთვის საძულველი „ნაციონალური პარტიის“ მოწინავეობას, ხოლო ახლადშექმნილი „ქართული ოცნების“ სერიოზულ პროცენტულ დაშორებას პირველ ადგილზე მყოფი „ნაციონალებისგან“.

პოლიტიკაში ოდნავ ჩახედულნი უმალ მიხვდნენ, რომ პოპულარობადაკარგული, სახელშერცხვნილი, კრიმინალური „ნაცური“ ბანდა ვერაფრით იქნებოდა იმ პროცენტების მატარებელი, რასაც NDI-ი იმეტებდა მისთვის. ისინი იმასაც მიხვდნენ, რომ ვაშინგტონში შეთხზული „კვლევა“ უნდა დამთხვეოდა არჩევნების შედეგებს.

NDI-ის გამოკლევა, საზოგადოების აზრს კი არ გვაცნობდა, არამედ გვიმტკიცებდა „ნაცთა“ უძლეველობას და მის გამარჯვებასთან შეგუებას. სწორედ მაშინ დაკარგა ნდობა ამ ამერიკულმა ორგანიზაციამ საზოგადოებაში. არც მანამდე იყო NDI-ს ე.წ. კვლევა ობიექტური, მაგრამ 2012 წელი კულმინაციური გამოდგა მისდამი უნდობლობის თვალსაზრისით. მას შემდეგ ამ ორგანიზაციის კვლევებისადმი მოსახლეობას (NDI-ს ზეწოლის ობიექტს) ცალყბა დამოკიდებულება აქვს.

ძნელია იმის თქმა, რამდენად გაითვალისწინა ამ ორგანიზაციამ მის მიმართ გამოთქმული კრიტიკული შენიშვნები, მაგრამ ახალი გამოკითხვის მიხედვით ისეთიც გამოჩნდა, რაც ადრე არ ჩანდა. მაგალითად, მოსახლეობის სურვილს შევიდეს ევროკავშირში, წარსული გამოკითხვიდან ბოლო გამოკითხვამდე პროცენტები დააკლდა, ხოლო ევრაზიულ კავშირში გაწევრებას – მოემატა.

გამოკითხულთა ერთი მესამედი რუსეთთან ყოფნას უჭერს მხარს. ცხადია რუსეთთან ყოფნას გაცილებით მეტი უჭერს მხარს, ვიდრე ერთი მესამედი, მაგრამ NDI-ის მიერ აღნიშნულის დაფიქსირება რაღაცას ნიშნავს და ეს „რაღაცა“ ისეთია, ერთ მესამედს რომ აღემატება.

დიახ! 25-წლიანი დამოუკიდებული მარათონის შედეგად საზოგადოება დარწმუნდა, რომ ფინიში უკეთესი ცხოვრებისა არათუ ახლოს, არამედ ძალიან შორსაა – ისეთ სიშორეზე, საუკუნეები რომ დასჭირდება მიახლოებას. ამიტომაც ხვალინდელ ქათამს – ვირტუალურს და შორეულს, ხალხმა დღევანდელი კვერცხი ანუ რუსეთი არჩია და რომ ასეა, აღნიშნულია NDI-ის კვლევაში.

აღნიშნულია, მაგრამ კვერცხამდეც მისვლაა საჭირო – ვინ მიგვიყვანს? ვინ არის ისეთი ძალა, რომელიც თავისი ავტორიტეტით შეკრავს საზოგადოებას და უდაბნოში 25-წლიანი უკომპასო ხეტიალის შემდეგ, ძველ და ნაცად ორიენტირს დაუსახავს ქვეყანას?

NDI-ის კვლევის მიხედვით ასეთი „გოლიათი“, როგორც პარტია ან პიროვნება არ ჩანს. საპარლამენტო არჩევნები ხვალ რომ გაიმართოს „ქართულ ოცნებას“ მხარს 27%-ი დაუჭერსო – გვეუბნება NDI-ი, სხვაზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი – ერთობ დაბალი პროცენტებიდან გამომდინარე.

„ქართული ოცნების“ 27%-ი არა მარტო ვაშინგტონის კეთილი განწყობა ჩანს მონადქცეული მმართველი პარტიის მიმართ (ეს რომ არ იყოს პროცენტული მაჩვენებელი, გაცილებით დაბალი იქნებოდა), არამედ მოსახლეობის არცთუ სახარბიელო განწყობა ამ პარტიისადმი. მძიმე ეკონომიკურმა მდგომარეობამ; ლარის კურსის არასტაბილურობამ; კომუნალური გადასახადების ზრდამ; საწვავზე ფასების მატებამ; კვების პროდუქტებსა და მედიკამენტებზე ფასების კატასტროფულმა აწევამ; სხვა მრავალმა ნეგატიურმა ფაქტორმა, მათ შორის მოსახლეობის ტოტალურმა გაღარიბებამ და სასოწარკვეთილებაში ჩაგდებამ, გამოიწვია 2012 წლის გამარჯვებული პარტიისადმი უკიდურესი უნდობლობა.

ხალხს სასაცილოდაც (თუ სატირელი არ არის) არ ყოფნის იმ მსუყე დაპირებების გახსენება, ივანიშვილმა რომ ბრძანა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ. არადა, მთელი 5 წლის განმავლობაში გულუბრყვილოდ სჯეროდა – ხუმრობა საქმე ხომ არ იყო მილიარდერის დაპირება?!

ხუმრობისა რა გითხრათ, მაგრამ ტყუილი რომ გამოდგა – დღეს უკვე ყველა ხვდება, თუმცა არიან ისეთებიც, რომლებიც თვალს ხუჭავენ, ვითომ ვერაფერს ხედავენ ივანიშვილის მიერ ყოველთვიურად მიცემული მსუყე ფინანსური დახმარების გამო. საზოგადოების ამ ნაწილს ინტელიგენციას უწოდებენ. მისი სიტყვა ფასობს საზოგადოებაში, უფრო სწორად ფასობდა ოდესღაც, მიუხედავად მისი მიწებებისა ნებისმიერი ხელისუფლების ორგანიზმზე.

ისტორიას არ გავიხსენებ, ვიტყვი დამოუკიდებლობის წლებზე, როდესაც შევარდნაძის წყალობით ქართული ინტელიგენციის „თვალსაჩინო“ წარმომადგენლები, ერთის ხელის დაკვრით (შევარდნაძის) გახდნენ კანონმდებლები. განა ისინი ოდესმე აუგს იტყოდნენ მამამარჩენალზე? არცკი გაუვლიათ თავში, რითაც ხელი შეუწყვეს ქვეყნის ნგრევას.

ანალოგიურს ჰქონდა ადგილი სააკაშვილის დროს. ვინც „ჩარეცხვას“ გადაურჩა, ისე მიეკრო სააკაშვილის ტანს, როგორც ხბო ძროხის ცურს. თითო-ოროლა თუ წამოიკნავლებდა სააკაშვილის აუტანელი მმართველობის საწინააღმდეგოდ.

არადა ხმამაღალი შეძახილი იყო საჭირო. დღეს კი გაჰყვირიან – სააკაშვილს ვებრძოდითო. ისინი ხმაჩაკმენდილები არიან. ივანიშვილის ფულით გატრუნულებს არც ქვეყნის ბედი აწუხებთ და არც მისი მოსახლეობის უმძიმესი სოციალური ყოფა. არც მძიმე დემოგრაფიული ვითარება და არც ივანიშვილის ხელისუფლების მომეტებული მადა ხელფასებთან, პრემიებთან, დანამატებთან მიმართებაში. ყველა ისინი ქება-დიდებას ასხამენ ივანიშვილს, მარჯვენას ულოცავენ ქველმოქმედებისთვის და რაც მთავარია სააკაშვილის გაგდებისთვის.

სააკაშვილი გავაგდეთ, მაგრამ ამით ივანიშვილის გარდა არავის უხერია. სამართლიანობა მარტო მილიარდერისთვის აღდგა, რაც სააკაშვილის მიერ წართმეული ფულის დაბრუნებაში გამოიხატა და არა მარტო. ივანიშვილს, უკონტროლოდ დარჩენილს, ფართო გასაქანი მიეცა, რაც საეჭვო მშენებლობებში, ხეების თრევაში და სხვა მრავალ მსხვილმან-წვრილმან საქმეში გამოჩნდა.

ქვეყანამ მიიღო ისეთი მმართველობითი სისტემა, რომელიც ძალიან შორს არის დემოკრატიისგან და უახლოვდება ქურდული სამყაროს წესებს. ერთის შეხედვით ივანიშვილი რიგითი მოქალაქეა, რომელსაც არავითარი პასუხისმგებლობა არ გააჩნია ქვეყნის მართვაზე. სინამდვილეში მის გარეშე არც ერთი საკითხი არ წყდება – განსაკუთრებით საკადრო. ასეთის ხელისუფლების ზეგავლენისგან ჩაშორება შეუძლებელია, ვინაიდან ხელისუფლებაც მის მიერ არის შერჩეულ-დანიშნული და საკანონმდებლო აქტებიც მისი კარნახით მიღებული. ასე რომ, დიდხანს, ძალიან დიდხანს (ვიდრე მას არ დაეზარება) მოგვიწევს ამ პიროვნების და აქედან გამომდინარე გაპარტახებული ყოფის ატანა.

დამოკიდებულ ხელისუფლებას ისეთივე უსუსური საგარეო კურსი აქვს, როგორც საშინაო. სხვას ვერაფერს იტყვი იმ შედეგებზე, რასაც ადგილი აქვს ამ დარგში. ავიღოთ თუნდაც პარლამენტის თავმჯდომარის კობახიძის კიევში ვიზიტი და მისი შეხვედრა უკრაინის პრეზიდენტ პოროშენკოსთან.

საერთოდ უნდა ითქვას, საქართველო-უკრაინის ურთიერთობები ისე გამოცოცხლდა, რომ მაღალი დონის შეხვედრების კორიანტელი დგას. საქართველოს ხელისუფლებამ – ერთობ გაწბილებულმა უკრაინელი პარტნიორების მხრიდან, იოლად დაივიწყა სააკაშვილის ექსტრადიციის მოთხოვნიდან გამომდინარე, უკრაინელთა არადიპლომატიური, შეურაცხმყოფელი მოქმედება (მაშინ სააკაშვილი დიდი სიმპატიით სარგებლობდა პოროშენკოს კარზე) და ისე ჩაეხუტა უკრაინას, თითქოს საქართველოსთვის დიდი ხსნა და შვება მოეტანოს.

ჩახუტება საერთო მტრის, რუსეთის გამოა გამოწვეული, ამასთანავე იმ ავანტიურისტული პოლიტიკის გაზიარებით, რასაც ორივეგან აქვს ადგილი. „კარგი იქნებოდა, თუ რუსეთის წინააღმდეგ სანქციებს საქართველოც შეუერთდება. ამით შეიძლება მეტი ყურადღება მივიპყროთ და ევროპას სტიმული მივცეთ განაგრძოს სანქციები რუსეთის წინააღმდეგ. ...“ – თქვა პოროშენკომ.

რა უპასუხა კობახიძემ, არ ვიცით, მაგრამ მისი ვიზიტის მიზანიც ის იყო, რომ გაეზიარებინა „კეთილი“ მასპინძლის ავადმყოფურ ტვინში მოხარშული კიდევ ერთი ავანტიურისტული გამოხდომა.

საქართველოს ახსოვს რა მოუტანა რუსეთის წინააღმდეგ შემოღებულმა სანქციებმა – ხანგრძლივი პერიოდით ქართული პროდუქციის აკრძალვა რუსეთის ბაზარზე. თუმცა ჭკუათხელ ხელისუფალთ სულაც არ აღელვებთ რუსული ბაზრის კიდევ ერთხელ დაკეტვა. მთავარია „დიდი“ წამქეზებელი იყოს კმაყოფილი. ასეთი ყოველთვის სხვის ხარჯზე გამოდის. ასეთმა კრა ხელი სააკაშვილს 2008 წლის ომისკენ. ასეთმა მოაწყო 2014 წლის მაიდნის გადატრიალება. ასეთი აომებს ოფიციალურ უკრაინას საკუთარსავე რეგიონებთან. ასეთმა დააკარვინა მას ყირიმი და აკარგვინებს დონეცკსა და ლუგანსკს. ასეთმა დაგვაკარგვინა სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი და თუ დროულად არ მივეგეთ გონს, სხვასაც დაგვაკარგვინებს.

მაგრამ გონს როგორ მოვეგებით, როდესაც ხელისუფლებასა და საზოგადოებას ისეთ რჩევას აძლევენ, ქვას რომ „გახეთქავს“.

„ვფიქრობ, ეს ძალიან დროულია და უკრაინას რომ არ შემოეთავაზებინა, ჩვენ უნდა დაგვეყენებინა ეს საკითხი მათთან ორმხრივ ფორმატში, ვინაიდან ეს შემოთავაზება არის, აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ. ...“ – აცხადებს ჩეჩელაშვილი, სააკაშვილის ყოფილი ფინანსთა მინისტრი, საქართველოს ყოფილი ელჩი რუსეთში.

ეს, ის „დიპლომატია“, პირველი „დიპლომატის“ (სალომე ზურაბიშვილის) ბრძანება პირნათლად რომ შეასრულა და რუსეთის პრეზიდენტისთვის რწმუნებათა სიგელის გადაცემის ცერემონიალზე ჩოხაში გამოწყობილი, ხანჯალდამშვენებული მივიდა. ფეხებშუა მოქანავე ხანჯალი მიუღებლად ჩათვალა რუსეთის პრეზიდენტის უსაფრთხოებამ და ელჩს ხანჯალი ჩამოხსნეს, რითაც იხსნეს ტანმორჩილი დიპლომატი არასასურველი დაცინვისგან.

ეს, ის ჩეჩელაშვილია, ფინანსთა მინისტრად მუშაობის დროს, მისმა ხელქვეითმა კეზერაშვილმა, ტელევიზიაში გაჟღერებულ სატელეფონო საუბარში მას „ასო“ რომ უწოდა.

ზემომოყვანილი მოსაზრების განმცხადებელი ან მართლაც „ასოა“, ან პირწავარდნილი ავანტიურისტი, ან ორივე ერთად. ვის, თუ არა მას კარგად უნდა ახსოვდეს რუსეთის წინააღმდეგ ჩვენს მიერ დაწესებული სანქციები და მრავალი წლის განმავლობაში ქართული პროდუქციისთვის დახურული რუსული ბაზარი. როდესაც მთელი ევროპა გაიძახის რუსეთთან დაწესებული სანქციების მოხსნაზე, თუმცა ვერ ახერხებს ამერიკელთა ზეწოლით, საქართველომ მდინარის საწინააღმდეგოდ არ უნდა იცუროს.

სტატისტიკის მიხედვით, გასულ წელს ღვინის ექსპორტიდან საქართველოში 170 მილიონი დოლარი შემოვიდა. ყველაზე დიდი იმპორტიორი რუსეთი იყო – მთელი ექსპორტის 62% ანუ 47,7 მილიონი ბოთლი; შემდეგ უკრაინა – 8,5 მილიონი; ჩინეთი – 7,5, ყაზახეთი – 3,3; პოლონეთი – 2,6; ბელარუსი – 1,8; ლიტვა – 1,5; აშშ-457.920;... ვგონებ ღვინის ექსპორტის მაგალითი რაღაცაზე მეტყველებს და ეს „რაღაცა“ გაცილებით მეტი შემოსავალია, ვიდრე სხვა ქვეყნებიდან შემოსული თანხები – ერთად აღებული.

დავუბრუნდეთ NDI-ის კვლევის იმ ნაწილს, პარტიებს რომ ეხება. ხალხს, როგორც ჩანს, დანახვაც არ უნდა იმ პოლიტიკოსების, 25 წლის განმავლობაში მეორეხარისხოვან როლებზე ყოფნით რომ ტკბებიან, სახელმწიფოდან დაფინანსებას რომ იღებენ და ფუჭი ლაქლაქის გარდა არაფერს აკეთებენ. ხალხს მობეზრდა მათი ხილვა, მაგრამ მათ, არც საკუთარი თავი და პოზიცია მობეზრებიათ და არც უდარდელი ცხოვრება. ვითომ, ყველა ისინი ქვეყანაზე ფიქრობენ, სინამდვილეში – საკუთარ თავზე.

ობიექტურად იბადება კითხვა – ეშველება ესოდენ მძიმე, ქვეყნისთვის გამოუსადეგარ პოლიტიკურ ვითარებას?

არის თუ არა სხვა ძალის გამოჩენის შესაძლებლობა, მაშინ როდესაც პოლიტიკური არენა იმათ უკავიათ, ვინც 25 წლის წინათ გამოჩნდა და არ სურთ პოლიტიკური სცენიდან ჩამოსვლა?

ახალი ძალის გამოჩენა მედიის მოქმედებაზეა დამოკიდებული, სხვა შემთხვევაში მას საზოგადოება ვერ გაიცნობს. ვინ მიუშვებს ახალ ძალას ტელეეკრანთან – არც არავინ. არსებული პოლიტიკური პარტიების კეთილგანწყობაზეა დამოკიდებული ახალი ძალის გამოჩენა, თუმცა ასეთის გამოვლინება პოლიტიკოსთა მხრიდან არცთუ იოლია.

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი**

# ვახტანგ გვარამია: რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ შევარდნაძე ის შევარდნაძე აღარ იყო – გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება აღარ შეეძლო



"საქართველო და მსოფლიო" განაგრძობს საუბარს გენერალ-მაიორ ვახტანგ გვარამიასთან საქართველოს უახლესი ისტორიის მოვლენებზე. დღევანდელი თემა მეტად მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით ახლა, როდესაც დღის წესრიგში აქტიურად დადგა საკითხი აფხაზეთისა და ოსეთის გარეშე ნატოში შესვლაზე. როგორ იკარგებოდა აფხაზეთი და ვისი ბრალი იყო ეს? – სწორედ ამ მნიშვნელოვან დეტალებზე გვესაუბრება ბატონი ვახტანგი:

– 1993 წელი იყო. აფხაზეთში ომი მძვინვარებდა, გაგრა და მისი მიმდებარე ტერიტორიები ახალი დაკარგული გვქონდა, იქიდან გამოყარეს ქართველები, საქართველოს ტელევიზიები გადმოსცემდნენ შემზარავ კადრებს, თუ როგორ თამაშობდნენ ფეხბურთს ჩრდილოკავკასიელები ქართველების მოჭრილი თავებით. ქართული შეიარაღებული ჯარების დამარცხებით დათრგუნული იყო მთელი საქართველო. ყველა ეძებდა გამოსავალს ამ მდგომარეობიდან. ამასობაში კი, ფრონტის ხაზმა სოხუმის მისადგომებისკენ გადაინაცვლა.

იმხანად, საქართველის გენერალური პროკურორის პირველი მოადგილე ვიყავი. ერთ დღეს ტელეფონზე გურჯაანის პროკურორმა ვოვა ახალკაცმა დამირეკა და მითხრა: მე და რაიონის გამგებელ ზაურ მანეჟაშვილს თქვენი ნახვა გვინდა, მოგვყავს რუსი პოლკოვნიკი, სამხედრო ნაწილის უფროსი და აფხაზეთის საკითხზე უნდა დაგელაპარაკოთ, საქმე ძალიან მნიშვნელოვანია და, შესაძლოა, ედუარდ შევარდნაძესთან შეხვედრა იყოს საჭირო, თუ, რა თქმა უნდა, შეძლებთ, რომ შეგვახვედროთო. ვუთხარი, მზად ვარ, მოგისმინოთ და საჭიროების შემთხვევაში, შევარდნაძესაც შეგახვედროთ-მეთქი.

არაჩვეულებრივი ადამიანი იყო ზაურ მანეჟაშვილი, წარმოსადეგი ვაჟკაცი და, რაც მთავარია, სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული. ასეთივე არაჩვეულებრივი ადამიანი გახლდათ ვოვა ახალკაცი, დღესაც ცოცხალია, ღმერთმა კარგად ამყოფოს!..

ანზორი, ვოვა და რუსი პოლკოვნიკი იმ დღესვე ჩამოვიდნენ თბილისში და მოვიდნენ ჩემთან. რუსი პოლკოვნიკი ლაგოდეხში დისლოცირებული საბჭოთა კავშირის გენერალური შტაბის მთავარი სადაზვერვო სამმართველოს სპეციალური დანაყოფის, ე.წ. სპეცნაზის მეთაური გენადი ანდრიას ძე ვიტოჩკინი აღმოჩნდა, რომელსაც ახლო ურთიერთობა ჰქონდა ზაურთანაც და ვოვასთანაც, სხვა შემთხვევაში, ის ამ წინადადებით საქართველოს ხელისუფლებასთან მოსალაპარაკებლად არ მოვიდოდა.

ზაურმა და ვოვამ მითხრეს, რომ ვიტოჩკინი თვითონ მეტყოდა, რისთვის იყვნენ ჩამოსულები და მანაც დაიწყო მოყოლა: "ჩვენ ავღანეთში ვიბრძოდით, ვართ "გრუ"-ს სპეცრაზმი, ავღანეთიდან ჩვენი ჯარების გამოყვანის შემდეგ წამოგვიყვანეს ლაგოდეხში, ჩვენ არ გვყავს რიგითი ჯარისკაცები, ყველანი ოფიცრები ვართ, გაგვაჩნია სპეციალური შეიარაღება საერთო შეიარაღებასთან ერთად. ალბათ, მოგეხსენებათ, რას წარმოადგენს სპეცდანიშნულების რაზმი, ჩვენი ერთი ჯარისკაცი ჩვეულებრივ 10 ჯარისკაცს უდრის საბრძოლო ვითარებაში. უძლიერესი ნაწილი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ბედის ანაბარად დავრჩით. მოსკოვიდან მივიღეთ წინადადება, რომ ჩვენი ნაწილი გადავიდეს ურალს იქით, ოჯახებთან ერთად. მეუღლეები ამ წინადადების წინააღმდეგ წავიდნენ, მაგრამ რამდენიმე მათგანი მაინც წავიდა იქ, სადაც ჩვენი დისლოკაციის ადგილი უნდა ყოფილიყო. რომ ჩავიდნენ, დახვდათ უკაცრიელი ადგილი, კარვები და კოღოები. შეშფოთებული ქალები უკან დაბრუნდნენ და ჩვენც კატეგორიული უარი განვაცხადეთ იქ წასვლაზე. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ აღმოვჩნდით საქართველოში და გადავწყვიტეთ, ვთხოვოთ საქართველოს მთავრობას, მიგვიღოს საქართველოს მოქალაქეებად, მაგრამ, თუ ეს შეუძლებელია, 10 წლით მაინც მოგვცეს აქ ბინადრობის უფლება, ამასთანავე, მიგვიღონ საქართველოს შეიარაღებულ ძალებში სამხედრო მოსამსახურეებად. სანაცვლოდ, ვითხოვთ გამოგვიყენონ აფხაზეთის ომში და გაძლევთ გარანტიას, დავიბრუნებთ აფხაზეთის იმ ნაწილს, რომელიც დაკარგულია. ფსოუდან სოხუმამდე გავწმენდთ ტერიტორიას სეპარატისტებისგან, მაგრამ, რადგან ბევრნი არ ვართ, ჩვენ მიერ გათავისუფლებული ტერიტორიები დაიცვას საქართველოს შეიარაღებულმა ნაწილებმა. ჩვენთვის ამ დაკარგული ტერიტორიების აღება პრობლემა არ არის, ჩვენი ხუთასი ოფიცერი ამას შეძლებს, თანაც თქვენი შეიარაღება არ გვჭირდება", – დეტალურად ამიხსნა ვითარება ვიტოჩკინმა.

წინადადება მართლაც სახარბიელო იყო, მაგრამ, ბუნებრივია, ვიკითხე, ანაზღაურებას თუ ითხოვდნენ. მიპასუხეს: – თუ ოფიცერი დაგვეღუპება, თითო დაღუპულზე მოგვეცით 100 000 მანეთი და ხელფასი თითოეულ ოფიცერს 3 ათასი მანეთი გადაგვიხადეთო. ზაურ მანეჟაშვილმა და ვოვა ახალკაცმა ამ მოთხოვნაზე იმ წუთში თქვეს, რომ ამ თანხებს გურჯაანი საკუთარი ბიუჯეტიდან გადაუხდიდა და საქართველოს მთავრობას არ დაავალდებულებდა. ეს იმხანად, დიდი ფული არ იყო.

საუბრის დასრულებისთანავე, სამთავრობო ტელეფონით დავუკავშირდი ედუარდ შევარდნაძეს და ვუთხარი, რომ ჩემთან გურჯაანის გამგებელი სტუმრობს და აფხაზეთზე საინტერესო წინადადება აქვს. მითხრა, სასწრაფოდ მივსულიყავით.

მივედით შევარდნაძესთან მე და მანეჟაშვილი. ახალკაცი და რუსი სამხედრო გარეთ დავტოვეთ. ზაურმა სახელმწიფოს მეთაურს ყველაფერი დაწვრილებით მოახსენა. შევარდნაძემ ჰკითხა, – ხომ არ გვიღალატებენო. მანეჟაშვილს გაეცინა, – რას ბრძანებთ, როგორ გვიღალატებენ, ისინი აქ ცოლ-შვილს ტოვებენ, ფაქტობრივად, მძევლად გვიტოვებენ ოჯახებს, თანაც მოქალაქეობას ითხოვენ ან 10 წლით ბინადრობის უფლებასო. შევარდნაძე დაფიქრდა, ცოტა ხნის შემდეგ გვითხრა, რომ ამ წინადადებას ვერ მიიღებდა. ჩვენ შეკითხვა არ დაგვისვამს, მან გვითხრა, რუსისთვის გვეთქვა, რომ პასუხს მოგვიანებით ეტყოდა.

გულდაწყვეტილები წავიდნენ ახალკაცი და მანეჟაშვილი. მოგვიანებით, რუსეთის სამხედრო ნაწილის ამბავი ვიკითხე. ისინი ურალისკენ არ წავიდნენ, უბრალოდ, დაიშალნენ და ყველა თავის საცხოვრებელ ადგილს დაუბრუნდა.

**– როგორი ჯარი ჰყავდა იმხანად საქართველოს?**

– სად ჰყავდა ჯარი საქართველოს, სახალხო ლაშქარსაც ვერ დაარქმევდი. ყველაზე ორგანიზებული შეიარაღებული ძალა კვანტალიანმა წაიყვანა, მილიციის კურსანტები, რომლებიც იქ ჩაიხოცნენ, რადგან საბრძოლო გამოცდილება არ ჰქონდათ.

**– თუ ჯარიც არ გვყავდა, შევარდნაძემ დახმარებაზე უარი რატომ თქვა, არ ენდო მათ თუ, უბრალოდ, ტერიტორიების დაბრუნება არ სურდა?**

– რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ შევარდნაძე ის შევარდნაძე აღარ იყო, სულ სხვა ადამიანი დაბრუნდა. გარდა ამისა, შესაძლოა, ისიც ვიფიქროთ, რომ ეროვნული ძალები რუსის ხსენებისას აგრესიას ავლენდნენ, თუ გახსოვთ, პავლე გრაჩოვმა, რუსეთის თავდაცვის იმჟამინდელმა მინისტრმა, შევარდნაძეს შესთავაზა გუმისთის გასწვრივ ერთი დივიზიის ჩაყენება, აფხაზები სოხუმში რომ არ შემოსულიყვნენ, და შევარდნაძემ უარი განუცხადა, რადგან ეროვნული მოძრაობის ზოგიერთი ლიდერი ამ ინფორმაციას აგრესიით შეხვდა, მათ რუსის დახმარება არ სურდათ. ეს ერთ-ერთი სავარაუდო მიზეზია, მაგრამ რეალური მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ შევარდნაძეს გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება აღარ შეეძლო.

**– ხშირად მსმენია, რომ აფხაზეთი მიზანმიმართულად დავკარგეთ. აფხაზეთის ომის მონაწილეები ყვებიან, ავიღებდით ტერიტორიას და მეორე დღეს უკან დახევის ბრძანება მოგვდიოდაო.**

– გიყვებით ფაქტებს, ერთ სიტყვას არ ვამატებ, მკითხველმა დასკვნა თვითონ გამოიტანოს.

ჩანაწერები არსებობს, ახალს ვერაფერს ვიტყვი. შევარდნაძემ სატელევიზიო ეთერში განაცხადა: "ხალხო, მე დავკარგე აფხაზეთი, დავკარგე და მომკალით ამის გულისთვის"

რაც სახელმწიფოში ხდება, ყველაფერზე პასუხს აგებს პირველი პირი. აფხაზეთის ომის გაჩაღებაში და მის დაკარგვაში დიდი წვლილი აქვს შეტანილი კიტოვანსაც და იმ ბანდფორმირებებსაც, რომლებიც იქ დარბოდნენ.

1992 წლის თებერვალში საქართველოს ჯარი აფხაზეთში პირველად შევიდა, მაშინ აფხაზებმა გაგვიშვეს და ფსოუმდე გავედით, ოღონდ გაურკვეველი მიზეზით უკან დაბრუნდნენ. შემდეგ მეორედ დააპირეს შესვლა და მხოლოდ შევარდნაძის დადანაშაულება არ შეიძლება, რადგან იქ შეცვივდნენ, ფაქტობრივად, ძარცვა-გლეჯვით. ამაში "მხედრიონი" და გვარდია ერთმანეთს ტოლს არ უდებდნენ. ვითომ რკინიგზას უნდა გაჰყოლოდნენ, მაგრამ ცენტრალურ გზას გაჰყვნენ, აიღეს გალი, ოჩამჩირე და, შემდეგ რაც მოხდა, ყველამ ვიცით. დამნაშავეა ყველა, მაგრამ პირველ პირს უდიდესი პასუხისმგებლობა ეკისრება.

ხშირად მეკითხებიან: რა სხვაობაა სააკაშვილსა და შევარდნაძეს შორისო? შევარდნაძე ვაჟკაცი იყო, მაგრამ ბოლო ხანს აღარ ჰქონდა პოლიტიკური გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი. სააკაშვილი მშიშარაა, მაგრამ ავანტიურისტულ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს გაბედულად იღებდა

**ესაუბრა ეკა ნასყიდაშვილი**

# სიცრუე და ორპირობა ხელისუფლებაში

*(გაგრძელება მე-2 გვერდიდან*

* აი, რას ამბობდა ცნობილი ქართველი პოლიტოლოგი პრემიერ-მინისტრის პოსტიდან ივანიშვილის გადადგომის რეალურ მიზეზებსა და ოპერაცია "ლოკომოტივზე":

"თუ ივანიშვილი მართლაც გადადგება, მაშინ დადასტურდება ვერსია, რომელიც ერთხელ გამოვთქვი, მაგრამ რომლის დაჯერებაც არ მინდა. მისი არსი იმაშია, რომ ივანიშვილს არანაირი პრინციპული უთანხმოება სააკაშვილსა და მის რეჟიმთან არ ჰქონდა, მაგრამ ეს თავხედი ახალგაზრდები მისგან სულ მეტ ფულს მოითხოვდნენ, ამასთანავე, მადლობის თქმითაც არ იწუხებდნენ თავს. უცერემონიო სააკაშვილმა, ეტყობა, აწყენინა მას, არ გამოვრიცხავ, რომ შეურაცხყო კიდეც. ივანიშვილი თავმოყვარე ადამიანია, ღირსების გამძაფრებული გრძნობით. შეუძლებელია, ამერიკელებს ყურადღება არ მიექციათ ამ ურთიერთობებისთვის. მათ თავიანთი პრობლემა ჰქონდათ: ცხადი შეიქნა, რომ სააკაშვილისა და მისი გუნდის შემდგომი დარჩენა ხელისუფლებაში შეუძლებელი იყო – უკმაყოფილება მოიცავდა მოსახლეობის სულ უფრო ფართო მასებს, მწიფდებოდა მასშტაბური სტიქიური ბუნტი, "ნაცმოძრაობის" სასარგებლოდ კიდევ ერთი არჩევნების გაყალბებას ხალხი ვერ მოითმენდა, იქმნებოდა სოციალური აფეთქების რეალური საფრთხე. ეს არა მხოლოდ აშშ-ის იმიჯს ურტყამდა, რომელიც ბოლო 9 წლის განმავლობაში საქართველოს "დემოკრატიის შუქურად" აღიარებდა, არამედ შეუძლებელს ხდიდა კონტროლს დაქვემდებარებული პოლიტიკური ძალების შემდეგი ეშელონის ხელისუფლებაში მოყვანას, რადგან ამერიკელ "ბახალებს" სოროსის სტრუქტურებიდან ხალხი უკვე აღარ მიიღებდა. როგორც ჩანს, სწორედ მაშინ გადაწყდა ოპერაცია "ლოკომოტივის" ჩატარება. ამერიკელები მოელაპარაკნენ ივანიშვილს, რომ ისინი არ დაუშვებენ არჩევნების მასობრივ ფალსიფიკაციას, მაგრამ სანაცვლოდ ივანიშვილს თავისთან ერთად პარლამენტში ის პარტიები უნდა შეეთრია, რომლებსაც რეკომენდაციას ამერიკელები მისცემდნენ. ივანიშვილმა ამგვარად იძია შური სააკაშვილსა და მის თანამზრახველებზე, დაიკმაყოფილა საკუთარი თავმოყვარეობა, ხოლო ამერიკელებმა მიიღეს სასურველი პარლამენტი. თუ ეს ვერსია მართალია, მაშინ ივანიშვილი მართლაც გადადგება. მან მიზანს მიაღწია, მაგრამ ხალხი მის წასვლას შეაფასებს, როგორც არასერიოზულობისა და უპასუხისმგებლობის უმაღლეს გამოვლინებას".

როგორც ხედავთ, ალექსანდრე ჭაჭიას ეს პროგნოზიც, ისევე, როგორც სხვა მრავალი, ზედმიწევნით შესრულდა: ბიძინა ივანიშვილმა მხოლოდ თავისი სურვილები დაიკმაყოფილა – მისთვის ფულის გამომძალველი, ხოლო ხალხისთვის სისხლის მწოველი სააკაშვილი ხელისუფლებას ჩამოაშორა, მაგრამ, ამერიკელების მითითებებით, ჯერ კოაბიტაცია გამოაცხადა და, ერთი-ორი მაღალჩინოსანი ნაცის გარდა, მისმა სასამართლომ პასუხისმგებლობა არავის დააკისრა, შემდეგ კი "ნაცმოძრაობისა" და მისი განაყოფი პარტიების წარმომადგენლებით გაავსო საკანონმდებლო თუ აღმასრულებელი ხელისუფლება, ქვეყანა თავის შპს-დ გადააქცია, ხალხის ინტერესები კი ფეხებზე დაიკიდა

**მოამზადა გიორგი გაჩეჩილაძემ**

P.S. ბიძინა იმანიშვილისა და მის მიერ დატოვებული "საინტერესო" გუნდის მოღვაწეობისშედეგებზე მიუთითებს ენ-დი-აი-ს მიერ რამდენიმე დღის წინათ გამოქვეყნებული კვლევის შედეგებიც: შეკითხვაზე – "რომელი ეროვნული საკითხებია თქვენთვის და თქვენი ოჯახისთვის მნიშვნელოვანი?" – გამოკითხულთა 54%-მა სამუშაო ადგილები დაასახელა, 35%-მა – ფასების ზრდა და ინფლაცია, 30%-მა – სიღარიბე, 25%-მა – პენსიები, 23%-მა– ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურება, ამდენივემ – ტერიტორიული მთლიანობა, 20%-მა კი – ხელფასები (დანარჩენი პასუხები 20%-ს ქვემოთაა, მაგალითად, სამართლიანობის აღდგენა – 10%). არსებითი ცვლილება პრიორიტეტებში, წინა კვლევასთან შედარებით, არ მომხდარა, თუმცა ტერიტორიული მთლიანობის მაჩვენებელი 5%-ით შემცირდა და ტოპსამეულიდან ამოვარდა, სოციალურ-ეკონომიკური საკითხების პრიორიტეტულობა კი გაიზარდა. ვითარება ამ მხრივ მართლაც დამძიმდა და, პრაქტიკულად, გაუსაძლისი გახდა; ადამიანი, რომელიც თვითგადარჩენისთვის იბრძვის, ეროვნულ საქმეზე იშვიათად ფიქრობს.

გამოკითხულთა 39% მიიჩნევს, რომ საქართველო არასწორი მიმართულებით ვითარდება, 26% თვლის, რომ – სწორი მიმართულებით, ხოლო პასუხში "საქართველო საერთოდ არ იცვლება", ალბათ, უფრო მეტი პესიმისტური ირონიაა, ვიდრე სტაბილურობის განცდა.

# არა, ეს ქართული მწერლობა არ არის!..

ხმამაღლა და განგაშის წესით უნდა ითქვას, რომ წინამდებარე ლიბერასტული მეწიგნეობა, შესაბამისად თავისი ხმაბოდვური, გნებავთ ხრწნადულ სულისკვეთებათა გამოორლობებით არავითარ შემთვევაში არ გახლავთ შემთხვევითი ან კასტური სახის მოვლენა, ის აგრესიული გლობალიზმის საოკუპაციო კონტინგენტის საიერიშო შენაერთია, რომელიც უზრუნველყოფილია სათანადო ფინანსებითა და გადამბირებელი ფუფუნებით. ამის მიხედვით იგი ჩვენი ქვეყნის ღვთისმშობლის წილხვედრილობას ჩაეხრახნა იდეოლოგიურად მიზანსწრაფულ საეთნოდივერსიო, გნებავთ საეთნოფაბრიკაციო სამსახურად (საინჟინრო უზრუნველყოფად), რომელსაც თავის სულიერ და ცნობიერ ხელმრუდობათა გასასაგნებლად გააჩნია არა მხოლოდ პროპაგანდისტული ან საგიტაციო საშუალებები, არამედ უზრუნველყოფილია სახელმწიფოზე (მთლიანად ერზე, ქვეყანაზე) გამომთაყვანებელი, გადამჯიშებელი და გადამშენებელი ზემოქმედების ბერკეტებით.

ყოველივე ამის გამო, ეს სიმრავლე არ გახლავთ საზოგადოება, იგი ხროვაა, რომელსაც არც სჭირდება და არც გააჩნია პასუხისმგებლობა ერისა თუ სამყაროს წინაშე, ხოლო ასეთ ვითარებაში, როდესაც უგვანობისათვის ხელშეწყობა და მისი ხელოვნური კულტივირება სახელმწიფო პოლიტიკად მოგვახვიეს თავს, მისი ამოცანაა, გააუკუღმართოს სიდიადე, როგორც ღვთივდადგენილი შინაარსი.

დიახ, მათ სამშობლო არ უყვართ. ამისათვის არც გული აქვთ, არც დრო... და არც საჭიროება!

ასეთ ფეხაწყობას იქედან, „საიდანაც ჯერ არს“ აიარაღებენ სტრატეგიული მიზნით, – არ აშენდეს ქართველი ერის მარადიულმყოფელი სახელწიფო, რისთვისაც სივერაგეთა საწყობებიდან გამოხმობილია ყველაზე უკუღმართული ნაღმები და მიზნობრივადაა მობინძურებული საინფორმაციო ველი ქართველთა შინაარსობრივი ანუ გონითი განფენის სივრცის შესახებ.

2. **თვალსაჩინოება განსჯისათვის:** 2017 წლის 16 ივნისი: გიორგიანელობასა და ქრისტესმხედრობას ჩასანაცვლებელი ეთნოფაბრიკაციული „ახალი ნაციის“ გამოსაინკუბატორებელი კომბინატის „რუსთავი -2’-ის საქილიკო გადაცემას ვინც ქართული სულისკვეთებით, აზროვნების წესითა და თვალსამზერით უყურა, დამეთანხმება, რომ იმ დღეს ქართველთა უკმაყოფილების გამოგამზირება ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის თემშარაზე, რომელიც იმთავითვე ჩასაფრებული „რუსთავი -2“-ის სამიზნე და საბეზღი გახდა, ქართული ცნობიერების წინააღმდეგ კიდევ ერთხელ აფეთქებული ჩვეულებრივი საეთნოდივერსიო ქიმიური იარაღი გახლდათ და არა ქართული სიტყვაკაზმულობა (ჟურნალისტიკა), მით უფრო – არავითარ შემთხვევაში იგი ვერ იქცა ეროვნული სულისკვეთებისადმი კეთილმოსურნე დარიგებად.

თავის მხრივ ქართული საზოგადოებისათვის საგანგაშო ის იყო, რომ წმინდა დავით აღმაშენებლის გამზირზე ამ სამართლიან ამრისხანებას არაერთათასწლოვანი ქართული მწერლობა კი არ მოუძღოდა თავისი ქრისტესმხედრული, გიორგიანული, საკაცობრიო მნიშვნელობის (სულის მ ა ს რ უ ლ ყ ო ფ ი ლ ე ბ ე ლ ი ) მსოფლმხედველობითა თუ ორგანიზაციულ-ინსტიტუციური ფეხაწყობით, როცა ერი ამხელდა ქვეყნის გადაგორებას გადაშენებისაკენ. ასეთ მნიშვნელოვან ფეხაწყობას სარდლად მოუძღვებოდა აშკარად სუსტი საპირწონე – გიორგი კორკოტაშვილი (მე არ ვაკნინებ მის პიროვნულ ძალისხმევას და სწორ არჩევანს).

დიახ, ქართველობა, ბატონი გიორგის მესადავეობითაც ცდილობდა, პასუხი გაეცა აგრესიული გლობალიზმის პოლიტიკურ ცრუმოძრაობებისა თუ ეთნოდივერსიულ ქვეშქვეშობების გადათარეშებისთვის. არადა, ვიმეორებ, მიუხედავად მისი ამ შემთხვევაში წაუბორძიკებელი ნაბიჯისა, რომელიც დიახაც რომ პატივმისაგებია, იგი არ ბრძანდება ახალი რუის-ურბნისისა და დიდგორის სასარდლო დონე (რაც ასე სჭირდება დღეს საქართველოს).

**მწარეა სინამდვილე:** დღეს საქართველოში მსოფლმხედველობრივად ერის გამაერთმუშტებელი და ქმედუნარიანი დარაზმულობა არ არსებობს, ეს კი ერის გადაშენების წინადღეა. რაც შეეხება სიტყვა ქართველს, ის უპიროვნდება მიზნობრივად გამოინკუბატორებულ ახალ ოლიგოფობიურ ნაციას.

ეს ყველაზე უკეთ სწორედ ჩასაფრებულმა ავმოსურნემ იცოდა და იმავე დღეებში (კვირის თავს) მან ქართველთა სახალხო ამრისხანებას იმავე გამზირზე გეი-აღლუმის მსგავსი სიმყრალე გადმოუღამისქოთანა, თანაც ქართველთა სამართლიანი აღშფოთება და აგანგაშება ყავლგასულობად, ჩამორჩენილობად და ცივილიზაციის მტრობად გაასაჯარისა.

გასაგებია-მეთქი, ამ შემთხვევაში წინამდებარე ამრისხანების მესვეურთა ძალისხმევა ვერ იქცა საოკუპაციო კონტინგენტის ეთნოდივერსიული თარეშის საპირწონედ.

რა თქმა უნდა, პიროვნებები ქმნიან ეპოქას, ეჯებირებიან თავსმოხვეულ ავმოსურნეობას, მეტიც, უპირწონდებიან თვით იმპერიათა ინსტიტუციურ სისტემას (ახლო წარსულიდან ილია ჭავჭავაძე, კოტე აფხაზი, ივანე ჯავახიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, ქაქუცა ჩოლოყაშვილი, ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა...), მაგრამ დღეს, ერში ასეთი პიროვნებების არყოლის დროს, ქართული მწერლობა (ხელოვნება), როგორც ეროვნული ინსტიტუცია და ხალხის მსოფლმხედველობრივი სკოლა, რომელიც მარადიულყოფს ერის გონითი განფენის სივრცეს, უნდა იქცეს ეროვნული სიმწყობრის, სახალხო ფეხაწყობისა და ყოველთა ქართველთა გაერთმუშტების ძალისხმევად.

დიახ, მწერლობა, როგორც ინსტიტუცია, აკეთილშობილებს და აყალიბებს საზოგადოების ცნობიერ სვლაგეზს, ხვეწს სახალხო გემოვნებას, აფართოებს მსოფლმხედველობრივ თვალსაწიერს და უზრუნველყოფს ერის მარადიულყოფას.

როდესაც სამშობლოსადმი მიზიდულობა უჩლუნგდება თაობას, მისი შიდაბუნება მაშინ სამკვდრო-სასიცოცხლოდ ეომება ღვთივწდომილებას და გადაჯიშებით იღუპავს თავს. სწორედ ამის გამოა ასეთ სასათბურე პირობებში და აგრესიული გლობალიზმის ჯიბეებიდან უშურველად დაფინანსებული ე.წ. მეწიგნეობა, რომ საკუთარ დედასთან სისხლაღრევაში ეძებს ნეტარებას.

ასეთი სიმრავლე აცდენილია ქართველი ერის სახალხო ნებას და გამოხატავს აგრესიული გლობალიზმის საოკუპაციო შინაარსს.

ბუნებრივია, ქართველი ვერ იქნება თავისუფალი, სანამ მისი ნამესტნიკური ადმინისტრაცია და მას მიჰანგებული საზოგადოებრივი მოთხოვნილება თავის ცნობიერ თვალსაწიერს „იმუხლმაგრებს“ „დიდი პატრონის“ („უფროსი ძმის“) იდეით, რაც ქედდადრეკილ, უღირსებო არაქრისტესმხედარ და არაგიორგიანულ ბრბოდ გვადგენს ჯერჯერობით „ამიერკავკასიის დემოკრატიის ცენტრად“ მონიშნულ და ნატოს საეთნოდივერსიო პოლიგონად მოსაზღვრულ ხართაში (რეზერვაციაში), სატახტოდ რომ მივიჩნევთ ჩვენ.

„დახვეწილი“ წამებისა და „ხავერდოვანი“ ხელბორკილის პირობებში საქმე იქამდე მივიდა, რომ დემოკრატიისა და ადამიანის უფლების შელახვად მიიჩნევა ისიც, რომელიმე სკოლაში მასწავლებელმა რომ მიმართოს მოსწავლეს – „ბიჭო“ ან „გოგონაო“ (ე.წ. სქესობრივი დისკრიმინაციააო ეს).

ასეთი ყოველდღიურობის წიაღში მთელის პასუხისმგებლობით ვაცხადებ: ჩვენს წინაა თანმიმდევრულად უტიფარი ტენდენცია, – ხელი შეეწყოს ქართველთა ვინაობის განგებ და ხელოვნურად სიცუდეში გასაგნებას. ამავე დროს თავის ვინაობასა და მშობლიურობაში გამშინაარსებელი საქართველოს მოსახლეობა (ე.ი. ჯერჯერობით უმრავლესობა) მოექცა მიზნობრივად შემოთარეშებული და დაკვეთით გამოინკუბატორებული მოქალაქეების (ახალი ლიბერასტულ-ეთნოფაბრიკაციული) ნაციის დიქტატის ქვეშ.

ზემოთ ჩემი ნამოწაფარი და ჩემს თვალწინ ტანაყრილი ბავშვები ვახსენე მეთქი... 18 წლის ზურაბ ხოშტარიამ მოხალისედ მიაშურა სანგარს და აიღო იარაღი მომხდურთა წინააღმდეგ საბრძოლველად. 16 წლის ვიტალი ღვინჯილია ასაკის გამო არ ჩარიცხეს რაზმში და ის, სახლიდან გაპარული, მამის იარღით მიეგება მტერს გუმისთაზე, სადაც მუხანათის ტყვიამ შეუნგრია ჯერ კიდევ სატრფოს ჩაუკრავი მკერდი. მასზე წლინახევრით იყო უფროსი მისი ძმა ვალტერი, არც იგი გაიწვიეს ომში, თუმცა 1993 წლის 15-16 მარტის ბრძოლებში გმირულად გაწირა თავი. 17 წლის დედისერთა მაცი ქირიაც გუმისთაზე სრულიად საქართველოს დასაცავად გახლდათ ჩასანგრებული, როდესაც დამპყრობის ყუმბარამ დაფლითა. ასეთივე ხვედრი გაიზიარა მეოთხემ, მეხუთემ... მეათემ... მეასემ... მეათასემ... მეათიათასემ...

გულანთებულ მამულიშვილთა თავდადება, უთანასწორო ვითარების გამო, საპირწონედ ვერ აეჯებირა მოღალატეთა თუ ზურგში ქურდულად მახვილის ჩამცემთა მუხანათობას...

სწორედ, იმხანად 1993 წლის სექტემბრის ბოლოს, უკვე ჩრდილო-დასავლეთ საქართველოდან ( აფხაზეთიდან) დევნილს, ქ. ზუგდიდში მომეკედლა მანამდე ჩემთვის სრულიად უცნობი, აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გალის რაიონიდან (ზემო ბარღების №36 საარჩევნო ოლქი), ბატონი როსტომ შამუგია, მან საკმაო ვირეშმაკობა მოიძია მაშინ საამისოდ.

აქ, ამჯერად არ ვაპირებ საუბარს იმ საუკუნის კივილჩაუხშობ ღალატზე, რითაც გაიწირა, გაუპატიურდა და გასხვისდა ჭყონდიდურ-აღმაშენებლური საბედიანო, საერთოდ – ცხუმ-აფხაზეთი.

ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ ხუნტის თარეშის პირობებში, მე, დევნილობასა და დევნაში მყოფი, იმ მარაგიდან, მეგობრებმა რომ მიწილადეს, ღმერთია მოწმე, სანამ მქონდა, მეზობლად დაბინავებულ როსტომსა და მის ცოლ-შვილს ძმურად ვუყოფდი. ეს რა სალაპარაკოა და ღმერთმა შეარგოთ.

ყოველივე ამას იმისთვის კი არ ვიხსენებ, ერთი თხილის გულის ცხრა ძმაზე გამყოფს მივადარო თავი, არა, ის მაგონდება, როგორ ყოველდღიურობდა – მაშინ ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე და დამწყები პოეტი პაატა ენგურგაღმიდან უხმოდ მომკივანი დაუმარხავი ცხედრების გასწვრივ. არადა, ამ ცხედრებში მისი კბილა, ზოგიერთ შემთხვევაში მასზე გაცილებით უმცროსთა საარაკო გმირობა ითხოვდა თუ შენს წილ თავდადებას არ გაიღებდი, მადლიერება და შენდობა მაინც მოგეძია ხირკედქცეულ საკუთარ თავში.

ხო, ვიხსენებ და ვერ ვივიწყებ იმასაც, რომ ბატონი როსტომი იმხანად რამდენჯერაც შემხვდებოდა, ყოველთვის მეტრაბახებოდა, რომ ზვიად გამსახურდიამ მას თავისი ნაშრომი „ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება“ აჩუქა.

შემდგომ ერთხანს კი იტრიალა „კოლხური კოშკის“ წრეში, ორიოდე წერილიც გამოაქვეყნა მხარდასაჭერი, მაგრამ თუ რამდენად სამამულო ანუ „კოლხური კოშკისეული“ სული მუხლმაგრობდა მის ლასკარში, ეს მკაფიოდ გამოჩნდა კი არა, ამან ლაგამაწყვეტილად გამოიორღობა მისი შვილის – პაატა შამუგიას „ანტიტყაოსანსა“ თუ სხვა ღვთისმგმობ სტრიქონებში. ამ დროიდან როსტომ შამუგია უკვე თავისი შვილის ოლიგოფობიური სტრიქონებით ამაყობდა.

მეტიც, იმ სიწმინდეებსა და შეუგინებლობებს, რომელთაც თავიანთი მამებისა თუ ძმების გვერდით, როგორც გითხარით, უყოყმანოდ ეწირებოდნენ მაშინ პაატას კბილა პირტიტველა ბავშვები, დღეს ლიბერასტული აგიტატორების მიერ საკმაოდ გახმაურებული წინამდებარე მეწიგნე ბატონი პაატა – როგორც ზემოთ მოგახსენეთ, აი, ასეთი ეგოპარანოიით ახურუშებული დააჭენებს ხოლმე დანაშაულებრივ ხრწნადობას თავის სულიერ სამყაროში, რაც წვრთნაშეუსმენელ თაობას, ამჯერადაც, კიდევ ერთხელ უნდა მივათავზარო გონზე მოსასვლელად: „ფსიქოანალიზური გააზრებით, ქოთანი დედის საშოა, რომელშიც პრეემბრიონული მოგონებები პროეცირდებიან, ქოთნიდან ხვრეპა კუნილინგურია, ინცესტის არომატით...“ („დაუჯდომელი“ (!).

როდესაც ბარღებელი (გალის რაიონი) კაცი, რომელიც ჯერ კიდევ ბავშვი ააგლიჯეს თავის ოდაბადეს და გამოაძევეს შურობუმუდან, ამის მიუხედავად იმდენად გაიანიჩარდა, რომ ეს სულაც არ აღელვებს, თან კმაყოფილი და ბედნიერი უწყობს ფეხს „უბორნიის მწერლობის“ მოთხოვნებს, იმ თაობაში ვერანაირი სახალხო ნება ვერ გამუხლმაგრდება დედა სამშობლოს საკეთილდღეოდ, რადგან თვით დედა-სამშობლო მათთვის, როგორც შეუგინებლობა და ღირებულებითი შინაარსი, ყავლგასული ცნებაა და წვრთნაშეუსმენი თაობისათვის ზედმეტი ბარგი გახლავთ.

ის კი არა და, ამას წინათ (2017 წლის აგვისტო) გალში საოკუპაციო რეჟიმისა და აგრესორ-სეპარატისტთა გადათარეშებით გაიმართა ე.წ. მიტინგი, სადაც მოუწოდეს საბედიანოს ძირძველ ქართველობას ანუ მეგრელებს (ე.ი. აფხაზებს და არა აფსუებს) საკუთარი გვარები „абхазец“-ურად გადაეკეთებინათ და „აღედგინათ თავიანთი „абхазец“-ობა.

წესით, ბატონი როსტომის, როგორც ხელისუფლების წარმომადგენლის ჭერქვეშ არა თუ საამბოხო ხმა ამოეღოთ, ამისთვის, სულ ცოტა, წაეკვნესათ მაინც უნდა მათზე გაპიროვნებული ტრიბუნებიდან, „თუმცა გზაც იქით ჰქონიათო“ და ამჯერადაც ყურდახშობით ჩაუარეს თანამოძმეთა დარბევებს. კიდევ უარესი, ეს ღვთისწყრომა არც გაუგიათ „ჩვენს უფლებადამცველებს“.

თუმცა, ჯერ კიდევ სად ხარ: იმავე საბედიანოში იგივე საოკუპაციო ძალა (პირწმინდა ეთნოდივერსია) თავისი საეთნოფაბრიკაციო სამსახურებით ადგილობრივ მოსახლეობას (მეგრელებს) გა-абхазец-ების გასწვრივ სთავაზობს (უფრო სწორად, აიძულებს) გა-мингрелец-ებას, ამ მიზნით აღვივებს мингрелец-ურ სეპარატიზმს, რათა 1. „абхазец“-ური სეპარატიზმის პირუმტკიცობისა და ორპირობის შემთხვევაში შიგნიდან დაუპირისპიროს მას („абхазец“-ობას) мингрелец-ური „თვითგამორკვევა“ (სეპარატიზმი).

2. ერთიან ქართველურ მსოფლმხედველობას აუჯანყოს мингрелец-ური (და არა მეგრული) სეპარატიზმი, რომელიც (მეგრული სეპარატიზმი) დროსა და სივრცეში არ არსებობს და ამიტომ ოკუპანტმა, ხელგამოღების მიუხედავად, ვერა და ვერ გააქსელა ენგურსგამოღმურ სამეგრელოში.

თავის მხრივ абхазец აგრესორ-სეპარატისტები ტერორით, თარეშის წესითა და სათანადო საეთნოფაბრიკაციო იდეოლოგიით ქმნიან პირობებს მეგრელთა ასიმილაციისათვის (გა-абхазец“-ებისთვის), რასაც ისინი მათში-„დენაციონალიზებულ აფხაზებში“ აფხაზური თვითშეგნების (იდენტობის) აღორძინებას არქმევენ.

აგრესორ-სეპარატისტი დიდმპყრობლები „ამტკიცებენ“, რომ გალის რაიონში (საბედიანოში) მეგრელებმა (ე.ი. ქართველებმა) „აფხაზები“ გაამეგრელეს.

ამის მიუხედავად ხელისუფლებაც, საზოგადოებაც, მესამე სექტორის ე.წ. უფლებადამცველებიცა და წინამდებარე მწერლებიც საოცარი გულმოდგინებით იკიდებდნენ ყოველივე ამას ფეხებზე... მეტის თქმაც შეიძლება: შეძახილით „გავძეხი“ და ნეტარებაში ამობოყინებით ისინი შეგინებულ საბანქვეშ უნდომებენ შეთრევას დედა საქართველოს.

სწორედ ამიტომ, ვთვლი რა ამას წმინდა ტარიგთა აღუღრეველი სისხლის წაბილწვად, სამარეშიც რომ ჩავწვე, ცხრა სკნელს ქვემოდანაც ამოვაწვდენ მახვილს და რიგითი მედღეურის სამხრეებითაც მოვახერხებ ავასალკლდევო ერის შეუგინებლობა.

ყოველივე ამის გასწვრივ, როდესაც ეროვნული ვინაობის განცდა და სამშობლოს მარადიულყოფის მოვალეობა გაძევებულია საზოგადოების ყოველდღიურობიდან, კარგად გაისიგრძეგანეთ, იმ დროს, როდესაც ჩვენი სახელმწიფოებრიობის ყველაზე დიდი მტერი გახდა ალმგველი იერიში განათლების წინააღმდეგ და საყოველთაო უვიცობის დამკვიდრება ყველგან და ყველაფერში, ჩვენს წინაშე ხანგრძლივმოქმედების ნაღმად გაისაგნა არაერთი მოცემულობა, რომელთაგან რამოდენიმეს სასურველია, გავეცნოთ აქვე.

**სერგი (გიორგი) საჯაია,**

***(გაგრძელება შემდეგ ნომერში)***

# მერაბ კოსტავას პოეზია

მერად კოსტავა ცდილობდა დრო-ჟამის ენის, სამყაროს ენის გაგებას, სიკეთისა და ბოროტების განჭვრეტას, სიცოცხლის, სიკვდილის, ადამიანის არსის შეცნობას და ამ მიზნით მიმართავდა საღვთო სიბრძნეს, საღვთო სიყვარულს, ღრმააზროვან, უძველეს სიმბოლურ სახეებს. განსაკუთრებული ინტერესის საგანია მის შემოქმედებაში ეშმას, დემონის, სატანის, ლუციფერის, მეფისტოფელის, მაცილის პარადიგმები.

ეს სახეები გვხვდება ბიბლიაში, ღვთისმეტყველებაში, მითოლოგიაში, მხატვრულ ლიტერატურაში.

დაბადების წიგნში ეშმაკი, მაცდური გველის სახით ცხადდება პირველი ადამიანების – ადამის და ევას წინაშე, ევას აქეზებს აკრძალული ხის ნაყოფის მისაღებად, მერე ადამიც შეჭამს და ამის გამო ისინი განიდევნებიან სამოთხიდან, კარგავენ უკვდავებას (დაბადება).

სახარებაში იესოს ცდის ეშმაკი, მაგრამ ვერ გადაიბირებს ღვთის ძეს, რომელიც ეუბნება მაცდურს: „განვედ, სატანავ, ვინაიდან დაწერილია: უფალს შენს ღმერთს ეცი თაყვანი და მხოლოდ მას ემსახურე". (მათე).

ასევე ქრისტემ განკურნა ორი ეშმაკისეული (მათე).

იოანე ღვთისმეტყველის გამოცხადებაში გვხვდება დიდი, წითელი გველეშაპი, რომელსაც მიქაელი და მისი ანგელოზები ებრძვიან ცაში: „გადმოგდებულ იქნა დიდი გველეშაპი, ძველი გველი, რომელსაც ეშმაკი და სატანა ჰქვია; მთელი წუთისოფლის მაცდუნებელი და მისი ანგელოზებიც გამოყრილ იქნენ მასთან ერთად" (იოანეს გამოცხადება).

მიწაზე გადმოგდებულ გველეშაპს თაყვანს სცემენ ზღვიდან ამომავალი მხეცი და მიწის მხეცი, რომლებიც არიან ღვთის მგმობელები.

ღვთისმეტყველებაში მითითებულია, რომ „ერთნაირი ბუნებისაა გველი, ვეშაპი, ლომი, როგორც მაცდური დემონი და ეშმაკი, როგორც სულის, ისე ხორცის დამღუპველი" (ათანასე დიდი, ეპისტოლე).

წმინდა ეფრემ ასური საუბრობს გველის სასწაულებზე, ეშმაკთა მიერ ანგელოზის სახის მიღებაზე, მიწაზე მათი მეუფების შესახებ.

ახალ აღთქმაში „ცრუ მოციქულნი, მზაკვარნი მუშაკნი ქრისტეს მოციქულად" გარდაისახებიან ხოლმე, „და არ არის საკვირველი, რადგან თვით სატანაც ხომ ნათლის ანგელოზად გარდაისახება"(პავლე მოციქული, II კორინთელთა.

იოანეს გამოცხადებაში ზეცის ანგელოზმა შეიპყრო გველეშაპი, იგივე ეშმაკი და სატანა, შებორკა ათასი წლით, ჩაკეტა უფსკრულში და დაადო ბეჭედი (იოანეს გამოცხადება).

ათასი წლის შემდეგ გათავისუფლდება სატანა ხალხთა საცდუნებლად, მაგრამ მხეცთან და ცრუწინასწარმეტყველებთან ერთად ჩავარდება ცეცხლისა და გოგირდის ტბაში, დაიტანჯება უკუნითი უკუნისამდე (იოანეს გამოცხადება).

ბიბლიაში მაგიაში გაწაფული ბალაამი დემონთა ზემოქმედების ქვეშ იყო, მაგრამ „საღვთო მობერვამ,... „საღვთო ძალამ" ჩამოაცალა გრძნეულებას და „საღვთო განზრახვის ქადაგად იქცა" (წმ. გრიგოლ ნოსელი).

ღვთისმეტყველები ორ გზაზე, ორ მეგზურზე გვესაუბრებიან: „გზა ორია... ორია მეგზურიც. სწორი და დაფერდებული გზის მეგზური ცრუ და ბოროტი დემონია, ვინც ტკბობის მეშვეობით მიმდევართა მისთა დაღუპვისკენ მიაქანებს, ხოლო უსწორმასწორო და ციცაბო გზისა კეთილი ანგელოზი, რომელსაც სათნოებათა ქმნით ნეტარი აღსასრულისკენ მიჰყავს მიმდევარნი მისნი" (წმ. ბასილი დიდი).

ღვთის სახელის ხსენებით, ფსალმუნების გალობით შესაძლებელია დემონთა განდევნა, გვასწავლის წმინდა ნილოს სინელი: „ფსალმუნთაგალობას ნუ დაცხრებიან ბაგენი შენნი: რამეთუ ღვთის სახელის ხმობ განასხავს დემონთ".

„ფსალმუნი თავშესაფარია დემონთაგან და ანგელოზთა მოხმობა შემწეობისთვის (წმ. ბასილ დიდი).

წმინდა ასური გვირჩევს, ქრისტიანული საჭურველით, ჯვრით აღვიჭურვოთ სიკვდილის მომტანი დემონების წინააღმდეგ.

"ახლოსაა ჩასაფრებული დაცემა და გამხრწნელი ვეშაპი ანუ ამპარტავნების ეშმაკი", გვასწავლის ისააკ ასური.

"...აქვს ეშმაკს სიკვდილის ხელმწიფება" (პავლე მოციქული, წერილი ებრაელთა მიმართ).

პავლე მოციქული გვმოძღვრავს: „არ შეგიძლიათ სვათ უფლის სასმისი და ეშმაკის სასმისი, არ შეგიძლიათ უფლის სუფრასაც ეზიაროთ და ეშმაკის სუფრასაც" (პავლე მოციქული, I კორინთელთა).

ეშმაკის მზაკვრობას მხოლოდ ღვთის რწმენით აღჭურვილი შეებრძოლება: „შეიმოსეთ ღვთის სრული საჭურველი, რათა შესძლოთ წინააღვუდგეთ ეშემაკის მზაკვრობას" (პავლე მოციქული, ეფესელთა).

ახალ აღთქმაში დაგმობილია მიწიური, მშვინიერი, ეშმაკეული სიბრძნე, წუთისოფლის მაცდური სიბრძნე, რომელსაც უპირისპირდება „მაღლიდან გარდმომავალი... მშვიდობიანი, წყალობითა და კეთილი ნაყოფით სავსე, მიუკერძოებელი და უთვალთმაქცო სიბრძნე" (იაკობ მოციქული).

სატანა – „მშენიერი ეშმაკი აღმატებული ნიჭის სინონიმი იყო ბოდლერისთვის, ამიტომაც საუბრობდა მასთან წილნაყარობაზე და ხოტბას აღუვლენდა „ბოროტების ყვავილების" წინასიტყვაობაში: „თუ არ დაგმოძღვრა შენ თვით სატანამ, ვინც სავერაგეს ასწავლის ყველას, მოეშვი! მაინც გაიგებ ვერას, ან ტვინაშლილად შემრაცხავ მანამ" (ეპიგრაფი მსჯავრდადებული წიგნისათვის).

ბოდლერს უყვარდა სატანა, რომელსაც ბოროტი გზით, სიკეთისკენ – ცოდნისკენ მიჰყავდა ადმიანი, მისი დევიზი იყო: Обожать прекрасного дъявола (Ш.Бодлер, Лирика, М. 1970, 241).

ზოგჯერ აწყვილებენ დემონს და შეშლილს.

გოეთე გენიალობასთან აკავშირებდა შეშლილის ცნებას და შეშლილ დემონს უწოდებდა ბეთხოვენს: „საჭიროა მოკრძალება იმის წინაშე, რასაც გამოთქვამს ასეთი შეშლილი დემონი, რადგან მას გენია უნათებს გზას და ხშირად იქ უსხივოსნებს, სადაც ჩვენ უკუნეთით ვართ მოცული და ვერც კი მივმხვდარვართ, საიდან ამობრწყინდება მზე".

გოეთე აიგივებდა დემონს და მფარველ ანგელოზს. ამასთან საუბრობდა „შემყოვნებელ", შემფერხებელ, ხელის-შემშლელ დემონებზე".

ამაღლებულ ადამიანთა მმართველ ძალას დემონი წარმოადგენს და მუდმივად საჭიროა სიფხიზლე, რათა სწორი მიმართულება მიეცეს მის ზემოქმედებას. ღაც უფრო მაღლა დგას ადამიანი, მით უფრო ექვემდებარება ის დემონთა ზეგავლენას და მუდამ ყურადღებით უნდა იყოს, რომ მისი ნებისყოფა გზას არ ააცდინონ".

დემონურს ადამიანთა ურთიერთობის მახასიათებლადაც გაიაზრებდა გოეთე:

„ასევე განაგებდა ჩემი და შილერის ურთიერთობას დემონური ძალა, რაც ორივესთვის ღირსშესანიშნავი იყო".

დემონური შემოქმედებითი ნებით იყვნენ ხელდასხმული მუსიკისა და მწერლობის გიგანტები: „დემონები დროდადრო კაცობრიობის გამოსაჯავრებლად ნებას აძლევენ ამა თუ იმ პიროვნებას, იყოს იმდენად მომხიბლავი და დიდი, რომ ყველას სურს მას დაემსგავსოს, მაგრამ მის სიმაღლეზე ვერავინ ადის. მათი ნებით იშვა რაფაელი, რომლის აზრი და ნამოქმედარი ერთნაირად სრულყოფილია. დემონებმა ინებეს გაჩენილიყო მოცარტი, მიუწვდომელი სიმაღლე მუსიკაში, ხოლო პოეზიაში შექსპირი".

ერთ შემთხვევაში გოეთე ჰომუნკულუ-სის მსგავს სულიერ არსებებს დემონებს მიაკუთვნებდა ნეგატიურ ჭრილში, რა თქმა უნდა.

ჰომუნკულუსი ლათინურად კაცუნას ნიშნავს. იგი შუა საუკუნეების ალქიმიკოსების მიერ წარმოდენილი ადამიანის მსგავსი რაღაც არსებაა, რომელიც ხელოვნურად არის მიღებული.

გოეთე დემონურს უმეტესად შემოქმედი ადამიანების, გენიალური მხედართმთავრების, ბუნების უჩვეულო მოვლენების დასახასიათებლად მიმართავდა. გოეთეს იტაცებდა დემონური, ბოლომდე ამოუხსნელი ბუნების ადამიანები, მათ ნახევრად ღმერთებთან ახსენებდა და ასეთებად მიაჩნდა ნაპოლეონი, ჰერცოგი.

ძალაუფლებისმპყრობელ, გამოჩენილ პიროვნებებშიც ხედავდა გოეთე დემონურს: „დემონური ხალისით ისადგურებს გამოჩენილ პიროვნებებში, მით უმეტეს, თუ მათ ძალაუფლებაც უჭირავთ ხელში, მაგალითად ფრიდრიხ დიდი და პეტრე დიდი".

დემონურს, ამოუხსნელს, მთლიანად დემონურს და ნაწილობრივ დემონურს ჭვრეტდა გოეთე ხილულსა და უხილავში: „დემონური არსებობს აგრეთვე მოვლენებში, თანაც ყველაფერში, რომელთაც გონი, საზრისი და გონება ვერ გვიხსნის... საყოველთაოდ გვევლინება ის ...ხილულშიც და უხილავშიც. ზოგი ქმნილება საერთოდ მთლიანად დემონურია, ზოგშიც ნაწილია დემონური".

„ფაუსტის" ავტორი განასხვავებდა მეფისტოფელს და დემონურს, დემონს ხედავდა მუსიკოსებთან, მაღალი რანგის დემონურ ძალას შეიგრძნობდა პაგანინის მუსიკაში: „მეფისტოფელი მეტისმეტად უარყოფითი სახეა, დემონური კი გამოვლინდება მხოლოდ დადებითი, პოზიტიური მოქმედებით.

„ხელოვანთა შორის... უფრო მუსიკოსებთან იელვებს, ნაკლებად მხატვრებში. პაგანინის სახით მაღალი რანგის დემონურ ძალასთან გვაქვს საქმე, რითაც ზემოქმედებას ახდენს".

ძალზე ლოგიკური, კლასიკური, რეალისტური ხელოვნების მოთაყვანე გოეთე მაღალ პოეზიას აღიქვამდა, როგორც დემონურს, შეუცნობელს, „განსჯის, გონების, საზრისის" მაღლა მდგომს და მომაჯადოებელს ამავე დროს" (12,221).

„პოეზიაში... უკვე თავისად არის სადაც დემონური, უფრო კი შეუცნობელში, სადაც ყოველგვარი განსჯა, გონება, საზრისი უძლურია, რის გამოც ასე გვაჯადოებს ხოლმე".

დემონური, დადებითი გაგებით, გოეთემ გამოჩენილ პიროვნებებში, ძალაუფლებისმპყრობელებშიც დაინახა: გოეთე მრავალგზის უსვამდა ხაზს ბაირონის განსაკუთრებულობას, მის გენიალობას და ამბობდა: „ბაირონშიც მაღალი ხარისხის იყო დემონური სული.".

ეკერმანი, რომელმაც შემოგვინახა გოეთეს გამონათქვამები, ასკვნის: „...თვით გოეთეს გამოჩენაც განსაზღვრეს დემონებმა".

**ლუარა სორდია.**
*(გაგრძელება იქნება)*

# ბიბლიურ-ფილოსოფიური ანთროპოლოგიური სიბრძნე: "შეიცან თავი შენი" და თანამედროვეობა



ამას წინათ ამ სათაურით გამოცემული ბროშურა მისახსოვრა მისმა ავტორმა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის რეფერირებადი და რეცენზირებადი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ ჟურნალ **"ეკონომიკა და ბიზნესის"** მთავარმა რედაქტორმა, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორმა პროფესორმა ბატონმა რევაზ გოგოხიამ.

ბატონმა რევაზმა ბროშურას შემდეგი წარწერა წარუმძღვარა: **"ილია მართლისეული სიბრძნისა და ჩვენი საუნჯეების – "ენა, მამული, სარწმუნოება", – იდეალების პოზიციებზე წარმატებულად მოღვაწე "ილორელებს", "მცირე" ნაშრომი. დიდი პატივისცემით, რევაზ გოგოხია".**

თავად ნაშრომზე რომ აღარაფერი ვთქვათ, მიძღვნის ამ რამდენიმე სიტყვაშიც მკაფიოდ ვლინდება ავტორის მსოფლმხედველობა, მისი პატრიოტული მისწრაფებები, გულისტკივილი...

ავტორი გვაუწყებს, რომ ნაშრომი ეძღვნება მარადიული სიბრძნის – **"შეიცან თავი შენის"** არსის აღქმისა და მუდამ და ყველგან ამ სიბრძნით ხელმძღვანელობის აქტუალურობის პრობლემის გათვისების მნიშვნელობას საყოველთაო გლობალიზაციის პირობებში. ამასთან დაკავშირებით ყურადღება გამახვილებულია გლობალურ საფრთხეებზე, ლიბერტარიანული შეხედულებების კრიტიკისა და მოჩვენებითი ეკლესიურობის მხილებაზე, არასამთავრობო ორგანიზაციების უმეტესობის მავნე საქმიანობაზე, რაც, ყველაფერი ერთად, მიმართულია ქრისტიანულ-მართლმადიდებლური რელიგიის და საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ. ამ ფონზე გამოკვეთილია საქართველოს როგორც აღნიშნული მოძღვრებისა და საერთოდ მსოფლიო ცივილიზაციის უძველესი კერის, ადგილი და როლი გლობალური საფრთხეების მაქსიმალურად თავიდან აცილების საკაცობრიო პროცესში.

ნაშრომის ავტორი ვრცლად მიმოიხილავს ისეთ საჭირბოროტო საკითხებს, როგორიცაა **"საყოველთაო გლობალიზაციის გლობალური საფრთხეები", "ღვთისაგან გლობალური განდგომა", "შეიცან თავი შენი – მარადიული სიბრძნე"** და სხვა. და საერთოდ, მთელი ნაშრომი გაჟღენთილია გლობალიზმის სიბინძურეებისაგან ქართველი ერისა და საქართველოს დაცვის სურვილით.

ბატონი რევაზი გვაფრთხილებს, რომ **"ფრიად სამწუხაროა, რომ ქართველი საზოგადოების დიდ ნაწილს არა აქვს არათუ მყარი, არამედ საერთოდ – მსოფლმხედველობა ეროვნული ღირსების განცდა და სხვათა იდეოლოგიური ნასუფრალის შემყურეა. სანამ ასეთი "სხვათა მოიმედობის" ცნობიერება იბოგინებს, ქართულ ეროვნულ ინტერესებს და თვით ჩვენს ქვეყანას, როგორც სახელმწიფოს, არავინ გაუწევს ანგარიშს..."**

სამწუხარო რეალობაა, რომელსაც დიდი ყურადღება და გონი სჭირდება.

სწორედ ამას მოგვიწოდებს ბატონი რევაზ გოგოხია თავის ნაშრომში, რომელიც დიდ სამსახურს გაუწევს ქვეყნის ბედით დაინტერესებულ ადამიანებს.

**როლანდ ჯალაღანია,**
**"ფაზისის" აკადემიის წევრი**

ვაი, სირცხვილო!!!

# გერმანიას მალე აყვება იტალია, გააუქმეთ უვიზო რეჟიმი საქართველოსო — ფლორენციაში ხალხს ქართველების საწინააღმდეგო საკეტებს სთავაზობენ

**“გერმანია ხომ აყვირდა, გააუქმეთ უვიზო მიმოსვლა საქართველოსო, მალე იტალიაც აყვება... რა სირცხვილია... გეყოფათ!.. ტელეფონის ინდექსით მივხვდი, რომ ეს განცხადება იტალიის ქალაქ ბარიში ვრცელდება. ვინც იტალიური არ იცის, მათთვის დავწერ, რომ განცხადების ავტორი, მოსახლეობას კარების საკეტების უსაფრთხო მოწყობილობის დაყენებას სთავაზობს, რომლებიც მათ ქართველი ქურდებისგან დაიცავთ. “ქართველების საწინააღმდეგო საკეტები”** — წერს იტალიაში მცხოვრები ქართველი ჟურნალისტი ნინო მამუკაძე, რომელიც იმ მოწყობილობის ფოტოსაც აქვეყნებს, რომელმაც იტალიელები, კონკრეტულად ქართველი ქურდებისგან უნდა დაიცვას.

ნინო მამუკაძე წლებია რაც იტალიაში, კერძოდ ფლორენციაში ცხოვრობს და მუშაობს.

პოსტის გამოქვეყნების შემდეგ ჟურნალისტი ქართველი ემიგრანტს დაუკავშირდა. ჩვენთან საუბარში მამუკაძე ამბობს, რომ ადგილობრივები პირად საუბრებში ქართველებს შემდეგი ეპითეტებით მოიხსენიებენ — **“ქართველი მფრინავი ქურდები”, “ქართველი აკრობატები”, “მაგიური ქურდები”** და ა.შ.

**ნინო მამუკაძე: “ძალიან შეურაცხმყოფელია... საბედნიეროდ, ზოგადი განწყობა ჯერჯერობით ასეთი არ არის. შეგნებული ადამიანი მიხვდება, რომ ყველა ქართველი ერთნაირი არ არის და კარგი და ცუდი ყველა ერშია, მაგრამ ყოფილა შემთხვევები, როცა ხუმრობით ან ირონიულად, უთქვამთ რომ უკვე იცნობენ ქართველებს... რომ ისინი ძალიან “ყოჩაღები” არიან, რადგან მათთვის ბარიერები არ არსებობს, — ყველა კარში შედიან.”**

გუშინ ცნობილი გახდა, რომ გერმანიის ერთ-ერთი მიწის, ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიის მთავრობა საქართველოს მოქალაქეებისთვის ევროკავშირში უვიზო მიმოსვლის შეზღუდვის საკითხზე მსჯელობს.

ამის მიზეზია თავშესაფრის მაძიებელი საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც არღვევენ სავიზო რეჟიმს და პრობლემებს ქმნიან. კონკრეტულად, პრობლემებს ქმნიან ლტოლვილთა საერთო საცხოვრებელში.

გერმანიის თავისუფალი დემოკრატების (FDP) წევრი, ადგილობრივი ინტეგრაციის მინისტრი, იოახიმ შტამპი მოითხოვს, რომ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის მოქალაქეებისთვის უვიზო რეჟიმი შეიზღუდოს.

ცოტა ხნის წინ ცნობილი გახდა, რომ საქართველოს მთავრობა ვიზალიბერალიზაციასთან დაკავშირებულ გამოწვევებთან გამკლავების მიზნით, ზომების გამკაცრებას გეგმავს; კონკრეტულად, — პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა საგანგებო თათბირი გამართა, რომელშიც ვიცე-პრემიერები, საგარეო საქმეთა მინისტრი მიხეილ ჯანელიძე, შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი გახარია, იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი, მთავარი პროკურორი ირაკლი შოთაძე და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი ვახტანგ გომელაური მონაწილეობდნენ.

მათივე ინფორმაციით, თათბირზე განიხილეს ის ნაბიჯები, რომელთა გადადგმა უმოკლეს ვადებში იგეგმება, რათა ევროკავშირის ქვეყნებში თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობა კიდევ უფრო არ გაიზარდოს და ეს ვიზალიბერალიზაციის შეფერხების მიზეზი არ გახდეს.

მთავრობის ადმინისტრაციის ინფორმაციით, საქართველოს მთავრობა დიდი ყურადღებით ეკიდება პარტნიორი ქვეყნების წუხილს და მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმას გეგმავს, როგორც კანონმდებლობის გამკაცრების, ასევე პარტნიორ ქვეყნებთან თანამშრომლობის გააქტიურებისა და ქვეყნის მასშტაბით აქტიური საინფორმაციო კამპანიის წარმოების მიმართულებით.

საუბარია საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირებაზე, რომელთა შედეგად, შემოღებული იქნება მთელი რიგი პრევენციული ზომებისა, მათ შორის ისეთის, როგორიცაა რეადმისიის ხარჯის თავად რეადმისირებულ პირებზე დაკისრება; გვარის შეცვლასთან დაკავშირებული პროცედურების გამკაცრება და ა.შ. აღნიშნული ცვლილებები მთავრობის უახლოეს სხდომაზე იქნება წარდგენილი.

**ლალი პაპასკირი**
**AMBEBI.GE**

# წინ წყალი, უკან მეწყერი...



უკვე მერამდენე კვირაა, რაც ანგაჟირებული მასმედიის საშუალებები და სოციალური ქსელები გადაჭედილია სააკიანცის ქოთქოთით იმის თაობაზე, რომ იგი უკანონოდ გამოისროლეს უკრაინიდან, რომ მალე დაბრუნდება უკრაინასა და საქართველოში და კისერს მოუგრეხს ოლიგარქებს, რომ არ მოსვენებს მანამ, ვიდრე ხელისუფლებაში არ დაბრუნდება, რომ მზადაა უკრაინისათვის ბრძოლას სიცოცხლეც კი შესწიროს და ეს კურდღელივით მფრთხალი არსება სხვა ამგვარი სულელური გამონათქვამებით ცდილობს კვლავ იტივტივოს პოლიტიკურ მორევში.

აი, ის მარგალიტები, რომელსაც ეს დაშნაკი და სისხლისმსმელი პარაზიტი სიმყრალედ აფრქვევს:

*“— მე ვრჩები უკრაინელ პოლიტიკოსად, ისევე როგორც ვრჩები ქართველად და აუცილებლად აღვიდგენ უკრაინის მოქალაქეობას!*

*— ჩემი მოშორების მცდელობა უბრალოდ განწირულია მარცხისთვის. მე ვრჩები უკრაინელ პოლიტიკოსად, ისევე როგორც ვრჩები ქართველად, და აუცილებლად აღვიდგენ უკრაინის მოქალაქეობას. გუშინდელი დაკავების შემდეგ ცოტათი კისერი მტკივა, მაგრამ მინდა გითხრათ, რომ ეს კისრის ტკივილი გაივლის, უკრაინელ ოლიგარქებს კი მე კისერს მოვტეხ აუცილებლად!*

*— მე მაქვს შესაბამისი გამოცდილება და ვიცი, როგორ უნდა იმუშაოს ციხეებმა, ამიტომ მე ვპირდები პეტრო პოროშენკოს, იური ლუცენკოს, არსენ ავაკოვსა და რინატ ახმეტოვს, რომ ისინი უკრაინის ციხეებში მოხვდებიან!*

*მიისვე თქმით, პოროშენკო საბჭოთა კავშირის ტიპიური პროდუქტია და შესაბამისად ფიქრობს.*

*“თანამედროვე ტექნოლოგიებისა და გადაადგილების პირობებში ევროპაშიც ისეთივე ეფექტური ვიქნები, როგორც უკრაინაში ვიყავი. უკრაინაში დამდევდნენ, მითვალთვალებდნენ, აქ თავისუფალი და 10-ჯერ უფრო საშიში ვარ, ვიდრე უკრაინაში ვიყავი”, — აცხადებს ჭკუიდან გადასული სააკიანცი და საპროტესტო აქციების გამართვით იმუქრება.*

*“მჯერა, ერთად მოვაწყობთ საპროტესტო მოძრაობას და ოლიგარქებს ჩამოვაშორებთ ხელისუფლებას. ეს საპროტესტო მოძრაობა გაიზრდება. პოროშენკო თავისი ფეხით უნდა გავუშვათ იმ საკანში, სადაც მე ვიჯექი” , — გაჰკივის სააკიანცი და აღნიშნავს, რომ უახლოეს პერიოდში ევროპელ და ამერიკელ კოლეგებთან თანამშრომლობას აპირებს.*

*“თუ ადამიანს ბრალს სდებენ სახელმწიფო გადატრიალებაში, მას ქვეყნიდან არ აძევებენ. ეს უბრალოდ წარმოუდგენელია. უცოდინარი უნდა იყო, რომ ქვეყნიდან ის ადამიანი გააძევო, რომელსაც ბრალი ედება მძიმე დანაშაულში. კითხვას ვსვამ, გამასამართლებენ თუ არა უკრაინის სასამართლოში? როგორ აპირებთ ამას? პოროშენკოს სულ არ აწუხებს უკრაინის კანონები. დამაბრუნეთ უკრაინაში. მე მინდა, რომ უკრაინაში გამასამართლონ”, — ლამის იხვეწება სააკიანცი და უკრაინელებს ამცნობს, რომ მათ “პათოლოგიური მატყუარები მართავენ”.*

*“ჩემო ძვირფასო უკრაინელებო, თქვენ პათოლოგიური მატყუარები გმართავენ. ისინი არ იმსახურებენ უკრაინისნაირად დიად ქვეყანას მართავდნენ. პოროშენკოს ჩემი ეშინია, ვინაიდან ჩემი მოსყიდვა შეუძლებელია და მე არასოდეს შევდივარ გარიგებაში ოლიგარქებთან. პირიქით, მე მათ მთელი ცხოვრება ვებრძვი”!* — ვერ ისვენებს ეს მართლაც პათოლოგიური ცრუპენტელა, რომელიც 9 წლის მანძილზე ძარცვავდა საქართველოს და ახლა უკრაინის ძარცვა აქვს დავალებული ევროამერიკელებისაგან.

ამიტომაც იცავენ ამ არანორმალურ სადისტს ევროპარლამენტარები და სხვა ჯურის გადამთიელები, რომლებმაც კარგად მოითბეს ხელი სააკიანცის მიერ ქართველებისათვის წაგლეჯილი მილიონებით და ახლა სურთ, რომ უკრაინაში გაუხსნან ძარცვა-გლეჯის ფართო ასპარეზი.

სწორედ მია მიერ მითვისებულ მილიარდებზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ამ არამზადამ ნიუ იორკში სამ მილიონზე ძვირად შეიძინა ორი ფეშენებელური ბინა და იგი თავისი დედის ძმის თემურ ალასანიას სახელზე გადააფორმა. ჩვენ კი თვალებში ნაცარს გვაყრის და გვიმტკიცებს, რომ უკრაინაში პატარა სახლს დედამისი უშენებს საკუთარი დანაზოგებით.

მართლაც უტიფარია ეს ბიოლოგიური ნაბიჭვარი, სულელური ღიმილით რომ აცხადებს:”ახლა რომ თავისუფალი ვარ, ასეთი თავისუფალი არასოდეს ვყოფილვარო”, მაგრამ ავიწყდება, რომ ყველაზე თავისუფალი გიჟია, რომელიც სახლის სახურავებზე დარბის და იქიდან გადმოხტომით იმუქრება!

საინტერესოა ჟურნალისტებისა და მოქალაქეების კომენტარებიც ამ შეურაცხადის ქმედებებზე:

**„როდესაც ვხედავდი, საქართველოს ყოფილ პრეზიდენტს ქოჩრით როგორ მიათრევდნენ, როგორც ქართველი, შერცხვენილი ვიყავი არა უკრაინის მთავრობის გამო, რომელიც თავის საქმეს ავად თუ კარგად აკეთებს, არამედ სააკაშვილის გამო, რომელიც საკუთარი თავის პრობლემაც გახდა. ეს ყველაფერი კი ბუნებრივია, ნეგატიურად აისახება ქვეყნის საერთაშორისო იმიჯზე, რადგან, მას საქართველოს პრეზიდენტად მოიხსენიებენ.**

**რაც შეეხება ფაქტს, თუ რამდენად სამართლიანი იყო მისი უკრაინიდან დეპორტაცია, აღნიშნულს ვერ შევაფასებ, რადგანაც, ეს უკრაინის სახელმწიფოს გადასაწყვეტია, თუმცა, კარგი იქნებოდა, უკრაინის მთავრობას, საქართველოს ხელისუფლების რჩევები თავის დროზე გაეთვალისწინებინა. მათ, ქართული საზოგადოებისგან დაწუნებული სააკაშვილი როგორც დემოკრატიის შუქურა და ქვეყნის აღმშენებელი ისე მიიღეს, თუმცა, ხელში კი ავანტურისტი და ქვეყნის დამანგრეველი შერჩათ.**

**არ ვიცი, დგას თუ არა პოლონეთი რიგში და თუ ეს ასეა, პოლონელ ხალხს ერთ ბრძნულ გამონათქვამს შევახსენებდი — „ჭკვიანი კაცი სხვის შეცდომებზე სწავლობს“. რაც შეეხება სააკაშვილის მომავალ გეგმებს, გეტყვით, რომ მას რასაც დაუკვეთავენ, იმას შეასრულებს. ვინ არის დამკვეთი? ვისაც აწყობს დესტაბილიზაციას და არეულობა უკრაინასა და საქართველოში. ეს არის დასავლეთის სახელმწიფოები. სააკაშვილი რუპორია, რომელსაც კარგად იყენებენ. ასეთებზე ყოველთვის იქნება მოთხოვნა ქვეყნის გარეთ თუ ქვეყნის შიგნით იმ პოლიტიკური ჯგუფების მხრიდან, ვისთვისაც რევოლუცია ერთადერთი გზაა საკუთარი მიზნების მისაღწევად. ბუნებრივია, ეს მუდმივ საფრთხეს წარმოადგენს. ჩვენ კი პოლიტიკური წინდახედულობა და სიფრთხილე გვმართებს“,**

**„სააკაშვილის გზა ყველა შემთხვევაში დასრულდება საქართველოს ციხეში. სააკაშვილის გაისროლეს ზუსტად იქით, საიდანაც ის გამოისროლეს თავის დროზე. არცერთ სხვა ქვეყანაში სააკაშვილს არ შეუშვებდნენ და არცერთი სხვა ქვეყანა მას არ მიიღებს. საიდანაც შევიდა საზღვარზე ზუსტად იმ ქვეყანას დაუბრუნეს. აპატრიდად აქციეს და ახლა ფაქტობრივად არცერთი ქვეყნის მოქალაქე არ არის ეს ადამიანი. მე მომხრე ვარ, სააკაშვილი დაბრუნდეს საქართველოში. როგორც გადალახა პოლონეთ-უკრაინის საზღვარი, ხომ შეიჭრა ტერიტორიაზე ძალით, ისე გადმოლახოს თურქეთ-საქართველოს საზღვარი, ან სომხეთ-საქართველოს, ან აზერბაიჯანის და შემოიჭრას საქართველოში“,**

ეგ კურდღელი რომ ამგვარების გამკეთებელი არ არის, ყველას კარგად მოეხსენება — ნაცსაც და არანაცსაც! სანდრას კი დღემდე სჯერა, რომ სააკიანცი გვირაბს გამოთხრის და ისე შემოჯირითდება საქართველოში!

ნეტარ არიან მორწმუნენი!

ისე, უკრაინელებიც შეუბრალებელნი არიან — ეცლიათ ამ კაცისათვის სულგუნის ჭამა, მერე კაიმაღს შესანსლავდა და გასკდებოდა და მისი რესტორნიდან გამოთრევას და პოლონეთში გადათრევას სულაც არ დაჭირდებოდა სპეცნაზი.

ისე, სიმართლე გითხრათ, გულწრფელად შემეცოდა ერთ დროს ჩემი ქვეყნის პრეზიდენტი, კიევის რესტორან “სულუგუნში” ელარჯის ჭამა რომ წაამწარეს და ქოჩორში ხელწავლებული გამოათრიეს ქუჩის მაწანწალასავით,

მაგრამ, სიმართლე გითხრათ, მე ის გონებადაფანტული ქართველები უფრო მეცოდებიან, რომელთაც ჯერ კიდევ იმედი აქვთ რომ სომეხი დაშნაკი სააკიანცი საქართველოში დაბრუნდება და ხელისუფლებას ჩაიგდებს ხელში და კვლავ ამოავსებს ქართულ ციხეებს უდანაშაულო ხალხით!

მის მოსვლამდე არაფერი გეტკინოთ, სააკიანცს კი, როგორც ქართველები ამბობენ, წინ წყალი და უკან მეწყერი!

**როლანდ ჯალაღანია**

# ღია წერილი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, ბატონ ირაკლი კობახიძეს



ბატონო თავმჯდომარე!

დარწმუნებული ვარ და მჯერა, რომ გაზეთ **"საქართველოს რესპუბლიკის"** №181-ში თქვენგან, ქუთაისში პარლამენტის შენობის რეაბილიტაციის თაობაზე გამოქვეყნებული ინფორმაციის წაკითხვამ და 11 სექტემბერს, ტელეკომპანია **"იმედით"** გაკეთებულმა განცხადებამ, ყველა ჭეშმარიტი ქართველი მამულიშვილი შეაშფოთა და აღელვა.

სააკაშვილის პრიმიტიული გემოვნების 340-მილიონიანი უსახური ნაგებობა რომ **"მწყობრში ჩადგომისთანავე"** სახმარ-გამოსაყენებლად უვარგისი და საშიში იყო, საზოგადოებამ თავიდანვე იცოდა. ამის მიუხედავად, მაშინ ვერავინ გაბედა ხმის ამოღება და ნაცების შიზოფრენი ატამანისგან მუზმუზელა-ქვემძრომი მოკლეფეხა მაშინდელი კაცუნა სპიკერისთვის მიცემული ბრძანება-დავალებით, თბილისის პარლამენტის შენობის სხდომათა დარბაზი თვალის დახამხამებაში ნანგრევებად იქცა. ჰოდა, მერე, შესაბრალის-ლაჩრულად ენაჩავარდნილი ყველა **"კანონმდებელი"**, სამარცხვინოდ და მონური მორჩილებით შელაგდა ქუთაისურ სამყოფელში. ნაციონალური ტირანიით დათრგუნულები მაშინაც მდუმარენი გახლდნენ, როცა ნაგებობაში არსებულ, ქარხნის ხმაურიანი **"ცეხისნაირ"** გათბობა-ვენტილაციის გუგუნს, წვიმებისა და თოვლის დროს სხდომათა დარბაზისა და ვესტიბულების ჭერიდან გვარიანად წამოსული წყლის ნაკადის შხრიალ-შხუილიც რომ შეერია.

და, მაშინ, დამფრთხალ-დაშინებულმა ხალხის „რჩეულებმა" უმალ გამონახეს **"გამოსავალი"** – უზარმაზარ კუსფორმიან ნაგებობაში შეხიზნულები, რამდენიმე წელია ქოლგებითა და საწვიმრებწამოსხმულები, იატაკზე დამდგარი გუბეების გადასალახად ჩექმებ-**"ბოტებში და კალოშებში გამოწყობილები"**, სამშვიდობოს გაღწეულები ახერხებენ სხდომების ჩატარებას.

ასე განუკითხავად და უდარდელად დაიხარჯა ჩვენი, დასნეულებულ-გაღატაკებული მოსახლეობისგან უზარმაზარ გადასახადებში წაგლეჯილი ფულით შევსებული ბიუჯეტის უდიერი თანხები, რომლის გარკვეული ნაწილი, ალბათ, უთვისტომო მიშიკამ და მისი ჯოგის წევრებმა ჩაიჯიბეს. ნაგებობის „ამოქმედებიდან" და იქ პარლამენტის გადასვლიდან მოყოლებული კი ყოველწლიურად ქარს მიაქვს ქუთაისში ჩასაღწევად საჭირო ტონობით საწვავი, ტრანსპორტის მომსახურება-მოვლაში, ტექნიკური პერსონალისა და კარისკაც-დამლაგებლების, დაცვის სამსახურის პერსონალის ხელფასებ-პრემიებში, პარლამენტარებისთვის დაქირავებული ბინების ქირებსა და სასტუმროს გადასახადებში, იქაურ დუქან-რესტორნებში ხვავიანად დაზვინულ მაგიდებთან დროსტარებებში გაღებული ოდენობის თანხები.

ხელისუფლებიდან ნაციონალების განდევნის მერე, ერთი-ორჯერ თითქოსდა უკმაყოფილების ხმა გამოკრთა და რამდენიმე დეპუტატმა, პარლამენტის თბილისში დაბრუნება მოითხოვა. თუმცაღა, ამაოდ. დიდმა ნაწილმა ანუ ნაციონალებმა, ისევ ქუთაისის გზაზე გაგება და სიცოცხლისთვის საშიშ ნაგებობაში დარჩენა – „მუშაობა" არჩია. მოკლედ, მოღალატე გამყიდველ ნაცებთან, ყველანი უძალონი და ვერაფრად მჯობნი გამოდგნენ.

ისე რომ, როგორც იტყვიან ხოლმე, თურმე ჯერ სადა ვყოფილვართ. გაპრემიერებულმა გიორგი კვირიკაშვილმა, მოსახლეობისთვის პირველივე გამოსვლა-მიმართვისას, მკაცრად და ლაკონურად გვაუწყა პენსიის მოუმატებლობისა და პარლამენტის ქუთაისში დარჩენის შესახებ (?!).

გაზეთი **"ილორი"**, 2017 წელი, 398: **"სწორედ აღმოსავლეთ საქართველოს სამშობლოსგან ჩამოცილების გეგმა ჰქონდა სააკაშვილსა და მის ბანდას, როცა ქვეყნის დედაქალაქის გადატანას აპირებდნენ ქუთაისში. გაიხსენეთ, ორიოდე წლის წინ როგორ ყელგამოწვდილი ეხვეწებოდა სააკაშვილი – ოღონდ პარლამენტს თბილისში ნუ დააბრუნებთ და რაც გინდათ ის გააკეთეთო! კარგად იცოდა არაკაცმა, რომ თბილისისათვის დედაქალაქის სტატუსის მოხსნით გაადვილდებოდა აქ უცხოტომელთა შემოთესლების პროექტის განხორციელება, რაშიც მილიარდობით თანხას აიღებდა ქრთამად მსოფლიოს მასონური ორგანიზაციებისგან. ამ თანხას კი თავის ევროამერიკელ ამფსონ ჩინოვნიკებს გაუყოფდა. ამიტომ გაჰყვირიან სააკაშვილისა და პოლიტიკურ ნაგვად ქცეული ნაციონალების რეანიმირებისთვის ის არამზადები"**.

ბატონო თავმჯდომარე!

ვფიქრობ, საკმაოდ დამაფიქრებელ-ანგარიშგასაწევია და ყურადსაღები, ალბათ დროებით ჩვენს თავს აცდენილი, დასახელებული გაფრთხილების გათვალისწინება.

თუმცა აღმოჩნდა, რომ სულ ტყუილად დავმშვრალვარ და დავხარჯულვარ დროის უაზრო მფლანგველი. თურმე, თქვენც, ბატონ კვირიკაშვილის გაუმართლებელი და ყოვლად მიუღებელი გადაწყვეტილების გამზიარებელ-მომწონებელი ყოფილხართ. თქვენც ქუთაისის პარლამენტში საქმიანობა გდომებიათ. აბა, მაშ პარლამენტის მთლიანი შემადგენლობა მუდმივად და ძირითადად თბილისში რატომღა იმყოფებით, აქ საქმიანობთ და მხოლოდ სხდომების ჩასატარებლად ჩადიხართ გვარიანად კრიზისულ-ავარიულ მდგომარეობაში ჩავარდნილ ქუთაისის პარლამენტში.

იმაზეც მინდა შეგეკითხოთ და შევიტყო: თქვენც გჯერათ, რომ პარლამენტის ქუთაისში გადატანით მცირედით მაინც უკეთესობა დაეტყო ქალაქსა და მის მკვიდრთ? ოდნავ მაინც გამოუკეთდათ საცხოვრებელ-საარსებო პირობები ქუთაისელებს? სულ მცირედით მაინც სასიკეთოდ იცვალა ქალაქმა იერსახე, ოდნავ მაინც გაუმჯობესდა ინფრასტრუქტურა, წყალმომარაგება, გაზიფიცირება, ყველანაირი კომუნიკაციები, სატრანსპორტო მომსახურება?..

რასაკვირველია არა. ყველაფრის ზერელად და ზედაპირულად, თვალებში ნაცრის შესაყრელად გაკეთებულ-შესრულებულმა, ისეთი არაფერი დაატყო ქალაქს და ქუთაისელებიც აღრინდელივით შეჭირვებულ-გაჯახირებულები აგრძელებენ არსებობას იმ ორ ათეულ მარიფათიან თანაქალაქელებთან ერთად, სარფიან ფასებში რომ მიაქირავეს ბინები „კანონმდებლებს". ამდენივე მოხერხებულმაც რომ სამსახურები იშოვნა და სულ ეგ არის.

ჰოდა, სწორედ ეს მარიფათიან-შანსიანები გახლავან პარლამენტის ქუთაისში დატოვების, მომხრეები და ნაციონალებისგან წასისინებულ-გამაგრებულები რომ აწყობენ აქციებს გონების დაკარგვამდე რომ გაჰყვირიან, შემოსავლის დაკარგვით, შეშლილები. ამიტომაც, დიდად დასაღონებელია და გულსატკენი, ფულს დახარბებულ არსებებს იოლად რომ გასდით ამაზრზენი და გულისამრევი ჭირვეულობა. ნუთუ, მათი დანაშაულებრივ ნება-სურვილს უნდა ენაცვალოს ქუთაისში ჩასვლა-წამოსვლაში დახარჯული და ქარს გატანებული ბიუჯეტის ათეულობით მილიონი?

ისევ, ზემოხსენებულ საგაზეთო ინფორმაციას მინდა დავუბრუნდე: **"მთლიანადაა შესაცვლელი შენობის სახურავი და შუშის კონსტრუქცია, ვინაიდან ატარებს წყალს და ვერ რეგულირდება ტემპერატურა. მოსაწყობია ავტოსადგომი და გამწვანება. კობახიძე ინიციატივით გამოდის, რომ შენობის მიმდებარედ მოეწყოს პარკი"**.

ბატონო თავმჯდომარე!

დიდად დასანანია, რომ ამ ინფორმაციითა და ტელენათქვამით საბოლოოდ დაადასტურეთ თქვენი ყველანაირი გაუმართლებელი პოზიცია და თანხმობა – თანადგომა, ნაციონალების მ ა ვ ნ ე ბ ლ უ რ - დ ა ნ ა შ ა უ ლ ე ბ რ ი ვ ი განზრახვისადმი. ყველაფერ იმით კი მეტად უხერხულსა და გასაკიცხ მდგომარეობაში ჩაიგდეთ თავი და სახელი.

პირდაპირ გეტყვით: თქვენ ამისი თქმისა და გახმოვანების უფლება, არა და არ გქონდათ. ამისი უპირველესი ნება, ჩვენი, დეპუტატების ამომრჩეველი და მათთვის ხელფასების გადამხდელი ხალხის უფლებაა პარლამენტის ადგილსამყოფელის დადგენა-დამტკიცება. დიახ, სწორედაც ხალხს უნდა დაგვეკითხოთ ამგვარად უმნიშვნელოვანესი საკითხის გადაწყვეტის თაობაზე და არა, პრემიერისა და თქვენი ყველანაირი გაუმართლებელი, საეჭვო ერთპიროვნული შეთანხმებით მოითავოთ საქმე.

ჩაატარეთ ამ პრობლემა-საწუხართან დაკავშირებით მარტივი გამოკითხვა და შეიტყობთ, რომ თქვენი დეპუტატებისთვის ბინების მიმქირავებელი და პარლამენტთან ახლომდებარე რამდენიმე კლიენტმომრავლებული დუქან-სამიკიტნოების პატრონების გარდა, ქვეყნის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი, პარლამენტის თბილისში დაბრუნების მსურველ-მომთხოვნია.

ბატონო თავმჯდომარე!

გამოდის, ამაოდ დავმშრალვარ ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობის მართალი და კანონიერი სურვილის, თქვენდამი ღია წერილში გაცხადებით.

ნამდვილად არ მოველოდი იმას, რომ 2017 წლის 26 სექტემბერს, პარლამენტში, მესამე მოსმენით მიღებულ საქართველოს კონსტიტუციაში, თურმე პარლამენტის ადგილსამყოფლის შესახებ არავითარი მინიშნება-ჩანაწერი არა ყოფილა!

რატომ? როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ისევ ვიღაცეების სურვილ-ბრძანებით გაკეთდა?

ეტყობა, ვიღაცეებმა ამის თაობაზე კიდევ ერთხელ მკაცრად დაგიქნიათ თითი და თქვენც უკან დაიხიეთ.

ვაი, საქართველო!

ბატონო თავმჯდომარე!

იმისი გარკვევაც მწადია თუ ვისი ნებითა და ბრძანებით, ჯერ ქვეყნის აუდიტის სამსახურის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ წამოსვით და მერე, პარლამენტის კონსტიტუციური უმრავლესობის მნიშვნელოვანი ნაწილის წევრების წინააღმდეგობის მიუხედავად, მაინც „უმრავლესობის თანხმობით რატომ გაიმარჯვა" მარადჟამს ანტისახელმწიფოებრივ-ანტიქართულ საქმეთა მკეთებელმა, ქვეყნის დამანგრეველი ძალის-ნაციონალური მოძრაობის მგზნებარე მხარდამჭერმა, ქართული მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის თავგამოდებულმა უარყოფილმა და მოწინააღმდეგე ნინო ლომჯარიამ? სულ ახლახანს კი ზარ-ზეიმით აირჩიეთ „სახალხო დამცველად".

ჩანს, იმ ვიღაცა უხილავმა ძალამ ამის თაობაზეც მკაცრად გაგაფრთხილათ და თქვენც უკან დაიხიეთ.

ბატონო თავმჯდომარე!

სულ ბოლოს კი იმაზე მინდა შეგეკითხოთ ქვეყნისა და დედაქალაქის ხელისუფლებთან ერთად, თუ კიდევ როდემდე აპირებთ ჩვენთვის ეროვნებისა და მამის სახელის წართმევით კოსმოპოლიტებად გადამქცეველი უთვისტომო სააკაშვილისგან დიდი დავითის ძეგლის სამარცხვინო და შეურაცხმყოფელ ადგილზე გადატანილის იქ დატოვებას, რატომ არ აბრუნებთ ზუსტად შერჩეულ ძველ ადგილ-სამყოფელზე?

როდემდე ვუყუროთ რესპუბლიკის მოედანზე წამოდგმულ, ქვეყნისა და ერის საწყევარს, მარადიულ უძრაობა-უმოქმედობაში ჩაკეტვის მაუწყებელ-სიმბოლო უზარმაზარ ორსაჭიან ჯადო-ველოსიპედს? რიყეზე წამოყირავებულ უზარმაზარ ტრუბებს; მტკვარზე გადებულ სიმახინჯე კუზიან შუშის ხიდს; გმირთა მოედანზე აყუდებულ უმსგავსო-უსახურ სვეტსა და იმას, ზუსტად რომ შეარქვა ხალხმა?

არადა, 14 იანვარს, პარლამენტმა, თქვენი თავკაცობით ერთობ საზეიმოდ აღნიშნეთ სახელმწიფო დროშის დღე. შეკრებილები, საკმაოდ გახარებულები, ამაყად გაცისკროვნებულ-გაბრწყინებულები და გახარებულები ხარობდით, კმაყოფილები აღნიშნავდით დღეს თავმოსაწონსა და სანუკვარს.

არადა, ეს სანახაობა და რიტუალი ხომ სუფთა ევრო-ამერიკული მასონური ბნელეთის იძულებითი მორჩილება და აღიარება იყო.

***როდემდე აპირებთ კანონიერი ტრადიციული სამფეროვანი დროშის, წმინდა გიორგის გამოსახულებიანი გერბის, ქართული მელოდიური "დიდების" ჰიმნის უარყოფას და სააკაშვილის პარტიული დროშის, უგემოვნოდ შეკოწიწებული ტექსტ-მელოდიის ჰიმნისა და არაფრის გამომხატველ-აღმქმნელი გერბის გამოყენება-სარგებლობას? მათ შეცვლას ხომ დიდი ხანია დაჟინებით ვითხოვთ ქართული მართალი და მართლმადიდებელი საზოგადოება?***

დიდად სამწუხაროა, რომ ამჟამინდელმა ხელისუფლებამ და უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ ასე საზეიმოდ აღნიშნეთ საქართველოს დამანგრეველ-დამაქცევარი, ქართველების გამანადგურებელი ნაციონალებისა და მათი წინამძღოლის დროშის დღე.

მარგველაშვილმა კი უკიდურესად გაღატაკებული მოსახლეობისგან წაგლეჯილი ფულით დიდძალი ოდენობის ქართველთა უდიდესი ნაწილისთვის არმაღიარებელ-მიუღებელი ხუთჯვრიანი დროშები დაამზადებინა და ჯარისკაცების გარკვეულ ნაწილსა და გზააბნეულ ადამიანებს ჩამოურიგა და უსახსოვრა.

საინტერესოა, ვის წინააღმდეგობა-ბრძანებებსა და სურვილებს უწევთ ანგარიშს ქვეყნის ხელისუფალნი ასე გამაღლებულები და დამფრთხალ-დაშინებულები?

უკვე მერამდენედ, ვაი, საქართველო!

**ბელა ჯიღაური,**
**საქართველოს მოქალაქე**

სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

# „ციხის ნაცვლად შინაგანი ჯარების მერვე პოლკში გამიშვეს“

დღევანდელ წერილში კიდევ ერთ ცნობილ ქართველ ფეხბურთელზე ვისაუბრებთ. გასული საუკუნის 60-იან წლებში გიორგი სიჭინავა იმდროინდელი თბილისის „დინამოს“ ერთ-ერთი ლიდერი გახლდათ. 1964 წელს ქართველმა ფეხბურთელებმა საბჭოთა კავშირის პირველობაზე ნანატრ გამარჯვებას მიაღწიეს. ამ წარმატებაში გიორგი სიჭინავას დამსახურება უდიდესი გახლდათ. სამწუხაროდ კარიერა ადრიანად – 28 წლის ასაკში დაასრულა.

„ფეხბურთის თამაში 5 თუ 6 წლისამ დავიწყე. პირველი მწვრთნელი რეზო შარტავა გახლდათ. 15 წლისა უკვე გაგრის „ტორპედოში” ვთამაშობდი – ჩვენ საქართველოს ჩემპიონატის მეორე ჯგუფში გამოვდიოდით.

ანდრო ჟორდანია ქართულ ფეხბურთში მოვლენა იყო! თურმე ჩემს შესახებ ყველაფერი სცოდნია და მალე 15 წლის ბიჭმა საქართველოს მეორე ლიგიდან საკავშირო უმაღლეს ლიგაში ამოვყავი თავი! ეს ის დროა, როცა „დინამოს” ლეგენდარული ავთანდილ ღოღობერიძე კაპიტნობდა.

„დინამოში” ერთმანეთზე უკეთესი ფეხბურთელები დამხვდნენ: სერგო კოტრიკაძე, ბორის სიჭინავა, ილია დათუნაშვილი, გივი ჩოხელი, შოთა იამანიძე, სიომა ბარქაია, ზაურ კალოევი, მიშა მესხი... მერე მათ მურთაზ ხურცილავა და სლავა მეტრეველიც დაემატნენ... მართლა ზღაპრული „დინამო” იყო!

17 წლისა უკვე ძირითადში ვთამაშობდი! დასამალი რაა: ბასა ღოღობერიძე მედგა გვერდით და მეც ვუჯერებდი. თუმცა ჩემი, როგორც ფეხბურთელის ჩამოყალიბებაში უდიდესი როლი, რა თქმა უნდა, ანდრო ჟორდანიამ ითამაშა. და საერთოდ, 1964 წლის დაუვიწყარი გამარჯვებაც, ჩემი აზრით, სწორედ მან გამოჭედა – ყველა ფეხბურთელს მან მოუძებნა ის ამპლუა, სადაც მერე მთელი კარიერა გაატარეს.

მიხაილ იაკუშინთანაც ვიმუშავე და გავრილ კაჩალინთანაც. იაკუშინი უფრო მკაცრი იყო, კაჩალინი – შედარებით ლმობიერი. 1964 წელს კაჩალინის ხელმძღვანელობით გავხდით ჩემპიონები, მაგრამ იაკუშინის წვლილი ამ გამარჯვებაში არანაკლები იყო.

იცით რატომ ვერ შევინარჩუნეთ ჩემპიონის ტიტული? ზეიმი ნამეტანი გაგვიგრძელდა და ამიტომ – ბურთი და ყანწი ერთად? გამორიცხულია!

18 წლისა საბჭოთა კავშირის მეორე ნაკრებში მიმიწვიეს შოთა იამანიძესთან ერთად, 20 წლისამ კი პირველ გუნდში ვითამაშე. ნახევარდაცვაში,

ყველაზე ძალიან დონეცკსა და კუიბიშევში თამაში არ მიყვარდა. ერთხელ დონეცკში ჩვენს ავტობუსს ქვები დაუშინეს – ფანჯრები ჩაგვილეწეს, კუიბიშევში კი, მახსოვს, კაჩალინს ტრიბუნიდან ნასროლი ბოთლით თავი გაუტყდა.

1965 წელს მეორედ მომისაჯეს სამუდამო დისკვალიფიკაცია – ამჯერად ფეხბურთში: ბაქოში ვთამაშობდით და ერთ მომენტში მარქაროვი წავაქციე. არც არაფერი, მაგრამ მან სიმულანტობა დაიწყო. ავდექი და მწარედ შევაგინე. ამ დროს მსაჯი მომვარდა და ყვითელ ბარათს მიჩვენებს, მარქაროვმა კიდე, თქვენ გაგინებდათო, უთხრა! მოკლედ, ახლა მსაჯს დავუწყე კამათი, ისე მომეშალა ნერვები, მუცელში ხელი წავავლე და წითელიც ამიფრიალა. თბილისში მატარებლით დავბრუნდით და სადგურზევე ამიყვანა ორმა კაგებეშნიკმა – ჩვენთან უნდა წამობრძანდეთო და პირდაპირ შინაგან საქმეთა მინისტრთან მიმიყვანეს. შევარდნაძე იყო მაშინ მინისტრი – კაბინეტში შესულმა ხელი გავუწოდე, მან კი არ ჩამომართვა და მორალის კითხვა დამიწყო... ბოლოს მითხრა, 58-ე მუხლის მიხედვით დაისჯებიო – საბჭოთა ხალხის მტრად მაქციეს!

ბიჭები ჯერ გაურკვევლობაში იყვნენ, მერე კი შოთა იამანიძე, როგორც გუნდის კაპიტანი, შევარდნაძესთან შევიდა და საქმეში გარკვევა სთხოვა. შემდეგ „ზემოდანაც” ჩაერივნენ სხვები და... მოკლედ, ციხის ნაცვლად შინაგანი ჯარების მერვე პოლკში გამიშვეს სავალდებულო სამსახურის მოსახდელად.

ვინ გადამარჩინა? ნიკოლაი მოროზოვმა! სპეციალურად ჩემს გამო ჩამოვიდა თბილისში, საქართველოს ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანთან ვასილ მჟავანაძესთან შევიდა და უთხრა, ეგ ბიჭი საბჭოთა სპორტს და ჩვენს ნაკრებს ძალიან სჭირდებაო და თავდებში დამიდგა.

1965 წელს მოსკოვში ბრაზილიას ვეთამაშეთ. ისეთი ამბავი იყო, ბევრზე დამთრგუნველად იმოქმედა. მარცხენა მცველი გვყავდა, დანილოვი – მატჩამდე ხუთი დღით ადრე უთხრეს გარინჩას წინააღმდეგ ითამაშებო და კანკალი დააწყებინა! მერე ზოგს სიცხემ აუწია, სხვებს ტრავმები „გაუმიზეზდათ”, მოკლედ, იყო ერთი ალიაქოთი. რისი ეშინოდათ დღემდე ვერ ვხვდები – გეგონება ჩვენხელა ბიჭების კი არა, მხეცების წინააღმდეგ გადიოდნენ მინდორზე.

თამაშისწინა გარჩევაზე ბარქაიას ჟერსონის აყვანა დაავალეს, მე კი პელეს „დაჭერა” ვითავე არადა, პელეს დამჭერი მე კი არა, დედამიწაზე არავინ იყო! მწვრთნელმა გვითხრა, პელეს წინააღმდეგ ვინ ითამაშებსო და ხმა არავინ ამოიღო. მე კი ისე მინდოდა ბრაზილიელებთან თამაში, ვიყვირე – მე დავიჭერ პელეს-მეთქი! ასე მოვხვდი ძირითადში. აბა, ასეთი შანსის ხელიდან გაშვება იქნებოდა?!

რა მოხდა 1969-ში? დაწვრილებით ვერ გეტყვით, მაგრამ ის კი შემიძლია ვთქვა, რომ უსაზიზღრესი ბრალდებით დამაპატიმრეს – ქალის გაუპატიურება დამაბრალეს! რამდენიმე თვით ადრე შევარდნაძემ დამიბარა და ჭკუის დარიგება დამიწყო: მილიციის ოფიცერი ხარ, არ ეკადრება შენისთანა კაცს რეჟიმის დარღვევაო... მე კიდე ვუპასუხე: თბილი სიტყვებისთვის მადლობა, მაგრამ სჯობს თქვენს საქმეს მიხედოთ, დამნაშავეები დაიჭიროთ, მე კიდე ფეხბურთს ვითამაშებ-მეთქი. მისი კაბინეტიდან რომ გამოვედი, კი ვიფიქრე, ხომ არ გადავაჭარბე-მეთქი, მაგრამ უკან აღარ შევბრუნდი. ამ ამბისთვის დიდი ყურადღება არ მიმიქცევია – მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატისთვის ვემზადებოდი, მაგრამ 1969 წლის დეკემბერში დამაპატიმრეს.

არცერთმა ქართველმა მოსამართლემ ჩემს საქმეს ხელი არ მოკიდა – ყველამ ყველაფერი იცოდა! ბევრმა დამიჭირა მხარი: კახი ასათიანმა, მურთაზ ხურცილავამ, შოთა იამანიძემ, ვიქტორ პონედელნიკმა, ჭიდაობაში ოლიმპიურმა ჩემპიონმა რომან რურუამ, მაგრამ მათ, ვინც ეს ამბავი შეთითხნა, უკან არ დაიხიეს – 27 წლის გიორგი სიჭინავაზე საჩვენებელი პროცესი გამართეს! ოთხი წელი მომისაჯეს. თავიდან გალის რაიონში, კოლონიაში ვიყავი სოფელ სიდაში, შემდეგ ციხიდან ციხეში დამატარებდნენ. ბოლოს როსტოვში ამოვყავი თავი. ფიქრობდნენ, ზეწოლას ვერ გაუძლებსო, მაგრამ საპატიმროებში, როგორც კი გაიგებდნენ ჟორა სიჭინავა მოიყვანესო, ყველგან უდიდეს პატივს მცემდნენ. საერთო ჯამში ციხეში შვიდი თვე გავატარე.

პატიმრობის შემდეგ ერთი სეზონი ვითამაშე რუსთავის „მეტალურგში“ – მეორე ლიგაში. სულ ცოტა დაგვაკლდა პირველ ლიგაში გადასვლამდე. ეს იყო და ეს, ამის მერე, 28 წლისამ ფეხბურთიდან წასვლა გადავწყვიტე.

წინადადებები როგორ არ იყო: ქუთაისის „ტორპედო” მიწვევდა, „დინამოში” ჩემს დაბრუნებაზეც ალაპარაკდნენ... ეგ კი არა, კონსტანტინ ბესკოვი შემეხმიანა და მოსკოვის „დინამოში” გადასვლა შემომთავაზა. იყო „კაირატის” ვარიანტიც – ზღაპრულ პირობებს მთავაზობდნენ, მაგრამ ყველაფერზე უარი ვთქვი – ჩემს მშობლიურ გაგრაში დავბრუნდი და 1992 წლამდე სპორტსკოლას ვხელმძღვანელობდი.

პელეს მაიკა? ჰო, თამაშის შემდეგ მე გამიცვალა მაისური. მოსკოვში 10 ათას მანეთს მაძლევდნენ სანაცვლოდ, მაგრამ არ გავყიდე. წლების მანძილზე გაგრაში მეკიდა ჩარჩოში ჩასმული. იქვე ჩემი და პელეს მატჩისშემდგომი ფოტო მქონდა გამოფენილი. ერთხელ სტუმრად ნაცნობი ქალბატონი გვეწვია და უყურა, უყურა ამ ფოტოს და მერე მეუღლეს ჰკითხა: შენი ქმარი რომელიაო?... ეჰ, კაი დრო იყო!

**სანტიაგო გაუჩო**

## სუნელების წარმოებაზე ახალი რეგულაციები ძალაში შევიდა

ამოქმედდა მთავრობის დადგენილება, სუნელების და სანელებლების წარმოების, გადამუშავებასა და ბაზარზე განთავსებასთან დაკავშირებით, რისკის მართვის დროებითი ზომების მიღებაზე. კერძოდ, მასში აღნიშნულია, რომ აიკრძალა ფიზიკური პირების მიერ, გარდა ინდივიდუალური მეწარმეებისა, ბაზარზე განთავსების მიზნით, სუნელების და სანელებლების წარმოება-გადამუშავება.

ამასთან, რეგისტრირებული ბიზნესოპერატორის მიერ წარმოებული ან გადამუშავებული პროდუქციის ბაზარზე შეტანა შესაძლებელია მხოლოდ დაფასოებული სახითაა უკვე შესაძლებელი, ქვეყნის კანონმდებლობით განსაზღვრული ეტიკეტირების მოთხოვნების დაცვით.

ამავე დადგენილების მიხედვით, დაუფასოებელი სუნელების და სანელებლების ბაზარზე განთავსება, მათ შორის, ფიზიკური პირების მიერ, დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებლის თვალწინ, ადგილზე ხდება მათი დაფქვა.

ხელისუფლება მიმართავს მუნიციპალიტეტებს თხოვნით, არ დაუშვან აღნიშნული პროდუქციით გარევაჭრობა.

„დადგენილების პირობების დარღვევით წარმოებული ან/და გადამუშავებული სუნელებისა და სანელებლების ბაზარზე განთავსება დაუშვებელია, ხოლო ბაზარზე უკვე განთავსებული სუნელები და სანელებლები ექვემდებარება ამოღებას/გამოთხოვასა და განადგურებას.

რისკის მართვის დროებითი ზომები გაგრძელდეს რისკის შეფასების პროცესის დამთავრებამდე, მაგრამ დადგენილების მიღებიდან არაუმეტეს 2 წლისა“, – ვკითხულობთ მთავრობის დადგენილებაში.

## რუსეთი აფხაზეთს ელექტროენერგიას მიაწვდის

**რუსეთი მზად არის საჭიროების შემთხვევაში აფხაზეთს ელექტროენერგია მიაწოდოს. ამის შესახებ ხელშეკრულება სოჭში გაფორმდა.**

**როგორც რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის განცხადებაშია ნათქვამი, დოკუმენტს აფხაზეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ბესლან ბარციცმა და რუსეთის მთავრობის წარმომადგენელმა ალექსანდრ ხლოპონინმა მოაწერეს ხელი.**

**სხვა ოფიციალურ პირებთან ერთად შეხვედრაში მონაწილეობას იღებდა აფხაზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი დიმიტრი შამბა და კომპანია „ჩერნომორენერგოს“ უფროსი ასლან ბასარია.**


**გაზეთ “ილორისათვის” ფინანსური დახმარების მსურველებს შეუძლიათ გადმორიცხონ თანხა შემდეგ საბანკო ანგარიზე:**

**ს.ს „ლიბერთი ბანკი“**

**ანგარიშის ნომერია: GE79LB0711188020717000**

**ანგარიშის №ვალუტაში: GEL / USD / EUR – მულტი სავალუტო ანგარიში**

**მფო: 220101480**

**მიმღები ბანკის დასახელება და მისამართი: ს.ს. „ლიბერთი ბანკი“**

**ი. ჭავჭავაძის გამზირი 74**

**თბილისი, 0162, საქართველო**

**მიმღები ბანკის swift კოდი: LBRTGE22**

**ანგარიშის მფლობელი (მიმღები): ანზორი დანელია,**

**ტელ. 571 22 66 34**


## იუმორი

– ცოლი მოიტაცე?
– კი.
– ვინ გეხმარებოდა?
– სიდედრ-სიმამრი

* * *

როცა ჩემი ცოლი მოულოდნელად მომიახლოვდება, მეხვევა, მკოცნის და მეუბნება: “იცი, როგორ მიყვარხარ?!”, მე შიში მიპყრობს...

– რატომ?

– სულ იმაზე ვფიქრობ: ან მანქანა დაამტვრია, ან ახალი კრედიტი “ამკიდა”, ან სიდედრი გადმოჰყავს ჩვენთან საცხოვრებლად-მეთქი!..

* * *

პატრული ვულგარულად გამოწყობილ მძღოლ ქალბატონს მიმართავს:

– რატომ აქვს თქვენს მანქანას წინა და უკანა მხარეს სხვადასხვა ნომერი?

– წინა – მობილურისაა, ხოლო უკანა – სახლის.

* * *

– ცოლს სახლის საქმეებში თუ ეხმარები?

– არა, ყველაფერს თვითონ ვაკეთებ!





სასწაულმოქმედი პრეპარატები “დომენტოლი” და “გაგენოლი” მუდამ იქნებიან თქვენი ჯანმრთელობის სამსახურში

დომენტი გაგნიძის *მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუვალობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, ჰკურნავს გაფანტული სკლეროზს და შიდსს, შველის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქდენას, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიებში,* **C***-ჰეპატიტს, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, ამყარებს იმუნიტეტს, და სხვა მრავალ დაავადებას.*

*მკურნალის საქმეს წარმატებით აგრძელებენ მისი შვილები: ზეზვა და დოდო.*

*კოორდინატებია:* თბილისი, აწყურის ქუჩა №70 (მეტრო “ისანთან”), ყოველდღე – 10-დან 16 საათამდე.

ტელ: 593-22-66-51, 593-62-28-48




მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქნეულები მიდიან და ჯანმრთელები ბრუნდებიან



ISSN 1987-8966 “ილორი”

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 სარეგ. №01018002930 234-32-95

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია

გაზეთის მენეჯერი: 599-34-37-27 ტექრედაქტორი 568-01-21-32

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ორი თაბახის ფურცელზე მეტი მოცულობის ტექსტი რედაქციას უნდა გაეგზავნოს ელ.ფოსტით (ან ლაზერის დისკით).

გაზეთ “ილორის” გაცნობა შეგიძლიათ “საქინფორმის” ვებგვერდზე WWW.saqinform.ge